ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 14 იანვარი, 2021 | №6 (8535) | ფასი: 60 თეთრი

ლელა წურწუმია: „იმდენი ვინერვიულე, წნევამ ამიწია“

გვ.5

ვინ სარგებლობს მომღერლის სახელით

„კობახიძის მართვა იოლია და იმიტომ შეარჩია ივანიშვილმა“

ეკა ბესელია: „ამნისტიის კანონის მიღება არასწორად მოხდა, არ იყო საჯარო დისკუსია“

გვ.3

„ქართული ოცნება“ დასრულდა! ივანიშვილმა კობახიძის ამარა დარჩენილი გაკოტრებული უხერხემლო მოცემულობა შეატოვა ამომრჩეველს – ეს იყო მოტყუება არჩევნების წინ იმ ხალხის, ვინც ხმა მისცა ივანიშვილს და არა კობახიძეს.

ანი მიროტაძე: „მთავარი დაპირისპირება კალაძესა და კობახიძეს შორისაა“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „გახარიამ, კალაძემ, კობახიძემ და ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ერთობლივად დამარხეს“

გვ.2

„ივანიშვილი პოლიტიკაში მხოლოდ ოპოზიციის რევანშის დროს დაბრუნდება“

გვ.4

ამირან სალუქვაძე: „სააკაშვილი, უბრალოდ, ბლოგერია თუ პარტიის არაფორმალური ლიდერი?!“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „დასავლეთის თვალში, ივანიშვილი უწყინარი ადამიანია“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „ქართული ოცნების“ დაშლა გარდაუვალია“

„ციფრები კოვიდინფიცირებულების შესახებ იმაზე უფრო გაყალბებულია, ვიდრე არჩევნების შედეგი“

ISSN 1987-9385

5 საპატრულო პოლიციამ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ფონიჭალაში არასრულწლოვანი დააკავა

6 ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას საქმის გამოძიება პროკურატურამ დაასრულა

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1195 ფაქტი გამოავლინა

6 გერმანიაში შესვლის წესები 14 იანვრიდან მკაცრდება

ანი მიროტაძე: „მთავარი დაპირისპირება კალაძესა და კობახიძეს შორისაა“

„კალაძე ოპოზიციაში აქამდეც გადავიდოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ სუს-ში ტომები თაროზე აქვთ შემოდებული“

იაგო ნაცვლიშვილი

რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? არის თუ არა დაპირისპირება ლიდერებს შორის? ვინ უპირისპირდებიან ერთმანეთს? რა სვლა იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან და ჩამოშორდება თუ არა ის მართვის სადავეებსა და გავლენებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე საუბრობს.

„ოცნებაში“ ყველამ იცის, რა სურს ბიძინას და არ უნდა აწყენინოს ბიძინას, ხოლო თუ აწყენინებს, მისი საქმე წავა ცუდად“

– რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა კალაძე გადავიდეს ოპოზიციაში და მასზე ივანიშვილმა ფსონი დადოს, როდესაც ის ჯანსაღ ოპოზიციაზე საუბრობს და როგორია თქვენი შთაბეჭდილება, რეალურად მიდის ივანიშვილი?

– პირველი წასვლის შემდეგ იყო მეორედ მოსვლა, ახლა არის მეორედ წასვლა. მერე იქნება მესამედ მოსვლა და ა. შ.

– სამი სიცოცხლე ხომ არ აქვს პოლიტიკაში ივანიშვილს?

– არ ვიცი. არ გამოვრიცხავ. მე მაქვს ჩემი ვერსია მის კულისებში გადანაცვლებასთან დაკავშირებით, რატომ შეიძლება გაეკეთებინა. აქვე განვმარტავ, რომ ვიდრე ძალოვან ბლოკში არიან მისი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები და ვიდრე მხარჯავი უწყებები – ჯანდაცვის სამინისტრო და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არიან უშუალოდ იმ ადამიანების ხელში, ვინც წარმოადგენენ ივანიშვილთან და მის ოჯახთან დაახლოებულ პირებს და ვიდრე პოლიტსაბჭოში კიდევ უფრო იქნება მისი გავლენები გაძლიერებული, ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილმა კობახიძის ამარა დატოვა ხელისუფლება.

– ძალოვან უწყებებში ვის გულისხმობთ?

– ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი – „ქართუ ბანკიდან“, ვახტანგ გომელაური – მისი დაცვის წევრი, სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მის პირად ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა, სუს-ის უფროსი „ქართუდან“ მოდის და მისი მაღალი ნდობით სარგებლობს. მაია ცქიტიშვილი ჯერ ადმინისტრაციაში ჰყავდა და ახლა ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომელიც ყველაზე მხარჯავი უწყებაა და დიდი ფული ტრიალებს, ისევე, როგორც ჯანდაცვის სამინისტროში. კულტურის სამინისტროს, ან რომელიმე სამინისტროს პირობითად პრემიერს ან კობახიძეს თუ დაუთმობენ, ამას არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკურ ბაზარზე არაფერს არ ცვლის.

ის, რომ ივანიშვილმა მხოლოდ დაბადების დღის მილოცვა დაუტოვა, კი ბატონო, შესაძლოა, მაგრამ თვითონ დაიტოვა განუსაზღვრელი უფლებები – როცა მოუნდება, როგორც მოუნდება და რატომაც, ისე მიიღებს გადაწყვეტილებებს. მას ჰყავს დატოვებული ადამიანები ხელისუფლებაში, ვინც ამას შეუსრულებენ.

ჩემი მოსაზრებით, რატომ უნდა გასულიყო პოლიტიკიდან. მან იცის, რომ მისი მთავარი რესურსი ფინანსებია. მას ფინანსების დაცვისთვის და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტის მიღებისათვის მას დასჭირდა კულისებში გადასვლა და იქ დაალაგებს თავის ფინანსებს. თუ ჩათვლის, რომ „ოცნება“ აღარ სჭირდება, ის შემოვა სხვა პოლიტიკური მოცემულობით. შესაძლოა ერთ დღესაც განაცხადოს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავი ამოწურა. როგორც შეიძლება იყოს „ოცნება“ ირაკლი კობახიძის და თინეიჯერების ამარა, რომლებსაც არანაირი ბიოგრაფია არ აქვთ. ვგულისხმობ პოლიტიკურ ბიოგრაფიას. თუ არ ჩავთვლით კალაძეს და მეტ-ნაკლებად გახარიას. რატომ უნდა ჰქონდეს საზოგადოებაზე გავლენა, წარმოუდგენელია.

ბუნებრივია, ივანიშვილი შეეცდება დაალაგოს მშვიდად თავისი იმპერია და მეორე, დააკვირდება და შეეცდება დაალაგოს ურთიერთობები ახალ ადმინისტრაციასთან ვაშინგტონში. და მესამე, თუ ქვეყანაში იქნება კრიზისი, თუ ელოდება მშიერი გაზაფხული, გაურკვეველი პანდემიური მდგომარეობა, სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, პოლიტიკური კრიზისი და ა. შ. ეს ყველაფერი ელოდება, მაშინ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

– ანუ, „ოცნებას“ შეაწმენდს ხელს?

– თუ კალაძეს და კობახიძეს ჰგონიათ, რომ ივანიშვილს ღამეები არ სძინავს მათზე ზრუნვით, არ ვიცი. მე მგონი, ასეთი მიამიტებიც არ არიან. ივანიშვილისთვის არსებობს მოცემულობები და იმ მოცემულობაში საჭირო ფიგურები. თუ აღარ იქნებიან საჭირო, ჩაბარდებიან წარსულს. კობახიძის ადგილას რომ ვყოფილიყავი, არ გამიხარდებოდა ასეთი სერიოზული დატვირთვის დაკისრება. ივანიშვილმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ გუნდში დაწყებულია ძალაუფლებისთვის ბრძოლა, რაც უფრო გაღრმავდება, რასაც დიდი დრო არ დასჭირდება. თვეები ამას არ დასჭირდება და გაზაფხულზე „ოცნებაში“ სერიოზული კრიზისი გვექნება.

– ვისა და ვის შორის არის ბრძოლა?

– პირველი, ეს არის კობახიძე, კალაძე თავისი გუნდით და გახარია.

– კობახიძე ცალკეა თუ კალაძის გუნდშია?

– მე უფრო დიდ დაპირისპირებას ვხედავ კობახიძესა და კალაძეს შორის.

– აქამდე ხომ ერთ გუნდში იყვნენ?

– მაშინ ერთი ქოლგის ქვეშ იყვნენ. ქოლგას იყვნენ შეფარებულები და ახლა, როდესაც ქოლგა აღარ არის, ყველას მოუნდება თავისი გზის პოვნა და ამბიციები ორივეს შეაწუხებს. კალაძეს ამბიცია რომ შეაწუხებს, ეს სულაც არ მიკვირს. კობახიძისგან განსხვავებით, ის არის „ოცნების“ დაარსების დღიდან დამფუძნებელი და პარტიის ლიდერი ივანიშვილთან ერთად.

კალაძეს ეწურება 4-წლიანი ვადა და მან ხომ უნდა გადაწყვიტოს, სად უნდა იყოს. მე მიმაჩნია, რომ არსებული კრიზისებიდან გამომდინარე, კალაძე არ გარისკავს და მეორედ კენჭს აღარ იყრის, რადგან წაგების შანსი საკმაოდ მაღალია. მას სულ არ სურს დაასრულოს თავისი პოლიტიკური კარიერა.

– პრემიერობა ხომ არ უნდა კალაძეს?

– აქ მივდივარ ზუსტად. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, კალაძე აცხადებს პრეტენზიას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაიბაროს ქვეყნის მასშტაბით. მან ეს პოზიცია დაფიქსირა გუნდში და ახლა ველოდები, რომ ის ღიადაც გაახმოვანებს, რაც უახლოეს მომავალში გაირკვევა, მაგრამ პრემიერის თანამდებობა თავისუფალი არ არის. ამიტომ, ვთვლი, რომ ხელისუფლებისთვის ძალიან რთული პოლიტიკური გაზაფხული იქნება ყველა მიმართულებით. ამიტომ კიდევ უფრო გაღრმავდება და გამწვავდება კრიზისი. როცა გემი იძირება, მერე რა ხდება ხოლმე იმ გემზე, ალბათ ადვილი წარმოსადგენია.

– აქამდე არ იყო დაპირისპირება და ხომ არ დაიმუქრა ვინმე წასვლით. ვრცელდება ხოლმე ინფორმაციები კალაძის ოპოზიციაში გადასვლასთან დაკავშირებით და ა.შ.?

– კალაძე წავიდოდა ოპოზიციაში თუ ის არ იქნებოდა იმ კითხვების მსხვერპლი, რაც მას შესაძლოა დაუსვან სამართალდამცველებმა. გრიგოლ ლილუაშვილის უწყებაში მისი და მისი გარემოცვის შესახებ ბევრი ტომი დევს. ამიტომ, როდესაც საჭირო გახდება მისი გადმოლაგება, ეს პრობლემა არ იქნება. შესაბამისად, პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში თავისუფალი ვერ არის და გარკვეული რისკებია მისი ოპოზიციაში წასვლა. მე პირადად ვფიქრობ, რომ ის ცოტა ადრეც წავიდოდა ოპოზიციაში. მისი რეიტინგულობიდან გამომდინარე ხშირად ხდება მისი უკანა პლანზე გადაწევა. მით უმეტეს, რომ ივანიშვილმა მემკვიდრედ დაასახელა ირაკლი კობახიძე.

პრობლემები ადრეც იყო. ხომ გახსოვთ კვირიკაშვილისა და კობახიძის გუნდებს შორის დაპირისპირება? გგონიათ, რომ ბავშვების შიმშილობას გადაყვა?! იყო დაპირისპირება და მერე ივანიშვილმა დაინახა საფრთხე და გადაწყვიტა,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„გახარიამ, კალაძემ, კობახიძემ და ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ერთობლივად დამარხეს“

დავით ჭიჭინაძე: „ივანიშვილისთვის სულ ერთია, ვინ იქნება პარტიის თავმჯდომარე, სადაც თვითონ არ იქნება და არ აინტერესებს „ქართული ოცნების“ მომავალი ბედი“

ნათია ხურცილავა

პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ვრცელდება ხმები, რომ გაზაფხულზე პრემიერი შეიცვლება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ შეიძლება გახარია ჩაანაცვლოს? ახალი პრემიერი ივანიშვილის კადრი იქნება?

– „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთთან ღიად დაპირისპირების პერიოდი დაიწყო. თუ გავიხსენებთ 2003 წელს, „ვარდების რევოლუციას“ სამი ადამიანი ედგა სათავეში. ჟვანია, სააკაშვილი, ბურჯანაძე. სააკაშვილმა, გახსოვთ, როგორ მოიცილა, როგორ შეჭამა ჟვანია და ბურჯანაძე. გახარიას პოლიტიკური დასაყრდენი არც პარლამენტში ჰყავს და არც მინისტრთა კაბინეტში. ის მარტოა.

– ვისთან აკეთებთ ტრიუმვირატის ანალოგიას?

– ესენი კლასით გაცილებით დაბალი დონის პოლიტიკოსები არიან. საერთოდ არ არიან პოლიტიკოსები, პოლიტიკასთან შეხება არც აქვთ. ამ შემთხვევაში ვიწრო ინტერესებზეა საუბარი და არა გლობალურ პოლიტიკაზე. გახარიას თუ გონება ეყოფა, მას ყველაზე კარგი სასტარტო პირობები აქვს. შეუძლია ახლავე განახორციელოს 5-6 მინისტრამდე ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში და თავისი პოზიციები გაიძლიეროს. ასევე, მას შეუძლია პარლამენტში გაიჩინოს დასაყრდენი ბიზნესმენ დეპუტატების შემადგენლობაში. მათ კონფლიქტურ კობახიძესთან ურთიერთობას, გახარიასთან ურთიერთობა უნდა ერჩივნოთ. ამდენად, გახარიას ეს შანსი აქვს სხვებთან შედარებით. უფრო მეტად ორგანიზებულიც არის და უფრო გამჭრიახიც. ხალხშიც უფრო მეტი სიმპათიით სარგებლობს, ვიდრე კობახიძე და კალაძე. არჩევნებშიც მას უფრო მეტი ხმა აქვს „ოცნებისთვის“ მოტანილი, ვიდრე კობახიძეს. თუ გახარია გაბედავს, მას შეუძლია ეს სვლა განახორციელოს და კობახიძე და კალაძე თავის ამბიციებში დატოვოს.

– თუ გახარიამ ეს ნაბიჯი გადადგა, ეს შეიძლება იყოს ნიშანი, რომ ივანიშვილი მართლაც წავიდა?

– შევთანხმდეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც წავიდა. ივანიშვილს არანაირი კუდები არ დაუტოვებია. მისთვის „ქართული ოცნება“ დასრულებული ამბავია. მან ველარ მიიღო ის დივიდენდები, რაც უნდოდა პოლიტიკური საქმიანობისგან მიეღო. ის პასუხისმგებლობას გაექცა. 2011 წელს გვითხრა ევროპას გავაკვირვებთო, მაგრამ გუშინ გვითხრა, ევროკავშირს რომ დავეწიოთ, ამის შანსი არ გვაქვს.

– თქვენ კი ბრძანეთ, კუდები არ დაუტოვებიაო, აბა კობახიძე ვინ არის?

– კობახიძე „ქართული ოცნების“ მესაფლავეა. ის კარგი დამანგრეველია. გახსოვთ, ასეთი ჭორები ვრცელდებოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარედ აბრუნებდა, ხან პრემიერ-მინისტრი ხდებოდა, მაგრამ ივანიშვილი მიხვდა, რომ ეს აფეთქების ტოლფასი იქნებოდა. პარტიის თავმჯდომარეობა კი ასე ხმაურიანად არ ჟღერს.

მეორე, ივანიშვილისთვის სულ ერთია, ვინ იქნება პარტიის თავმჯდომარე, სადაც თვითონ არ იქნება და არ აინტერესებს „ქართული ოცნების“ მომავალი ბედი. ივანიშვილისთვის, „ქართული ოცნება“, როგორც პროექტი, წარუმატებლად დასრულდა. მის ინტერვიუში ვერ დავინახეთ ის მუხტი, რომელიც გამარჯვებულ ადამიანს გააჩნია. მისი ინტერვიუდან ჩანდა, რომ მას მობეზრდა უმადური ხალხის ყურება და თავის ცხოვრებას უბრუნდება. მან თავისი პრობლემები მოაგვარა და ის ვეღარ ხედავს პოლიტიკაში დარჩენის არსს. ამ წასვლით მის მომხრეებსაც კი, რომლებიც ბრმად ენდობოდნენ, იმედები გაუცრუა. ერთადერთი, რაც გააკეთა, რუსული ოლიგარქიული მმართველობის სისტემა შექმნა.

– რაც შეეხება კახა კალაძეს. დარჩება ის „ქართულ ოცნებაში“ თუ დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს?

– თუ პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება, მაშინ დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს. კალაძეს პოლიტიკური ალღო აქვს და ძვირადღირებული მრჩევლებიც ჰყავს. არ გამოვრიცხავ, რომ კალაძემ ახალ გადაჯგუფებებში მიიღოს მონაწილეობა. მეტიც, შეიძლება რომელიმე ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად დაიწყოს ახალი თამაში და ის ამას „ქართული ოცნების“ კრიტიკით დაიწყებს. ხომ იცით, კრიტიკა ყველაზე მარტივია. ამ არჩევნებში თბილისი პირწმინდად წააგო. ვერც ერთმა „ოცნების“ მაჟორიტარმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა გაყალბების პირობებშიც კი.

– კალაძე, ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად დაიწყებს ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას?

– დიახ, პარტნიორების ძებნა მოუწევს ოპოზიციაში. „ქართულ ოცნებაში“ წაგებულ თამაშში, საიდანაც ივანიშვილი გაიქცა, ის პარტნიორებს ვეღარ მოძებნის. კალაძე ახალ კონფიგურაციაზე დაიწყებს ფიქრს, მაგრამ არ მგონია, რამე გამოუვიდეს.

– რატომ?

– ზოგადად „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური პროექტი, ჩაფლავდა. ჩაფლავდა ყველა მისი ლიდერი. გახარიამ, კალაძემ, კობახიძემ და ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ერთობლივად დამარხეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძის მართვა იოლია და იმიტომ შეარჩია ივანიშვილმა“

ეკა ბესელია: „ამნისტიის კანონის მიღება არასწორად მოხდა, არ იყო საჯარო დისკუსია“

იაგო ნაცვლიშვილი

წავიდა თუ არა რეალურად ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან? ტოვებს თუ არა მემკვიდრედ ირაკლი კობახიძეს? ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ კალაძისგან ან გახარიასგან ოპოზიციას შექმნის და რას ფიქრობს პატიმრების შეწყალებაზე, ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილის ყოფილი თანამებრძოლი ეკა ბესელია საუბრობს.

– თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ამჯერად რეალურად წავიდა პოლიტიკიდან თუ ახლაც იგივე მანევრი გააკეთა, რაც პირველი შემთხვევის დროს, რამდენად დროული იყო მისი წასვლა და საბოლოოდ ჩამოშორდება ძალაუფლებას?

– მას შემდეგ, როდესაც ყველაფრის ფასად ხელისუფლება შენარჩუნდა და მოხდა ძალაუფლების უზურპაცია, რასაკვირველია, ივანიშვილი არ დარჩებოდა პარტიის თავმჯდომარედ. რატომ უნდა უნდოდეს? მიიღო ის, რაც სურდა და ახლა ეს სტატუსი მხოლოდ ტვირთია. ზედმეტი ტვირთი. გავლენები მაინც ექნება და ასე სწრაფად ეს არ დასრულდება, ვინც დატოვა, ისინი დამოუკიდებლები არიან? არა! ამიტომაც, რატომ უნდა უნდოდეს უპერსპექტივო პარტიის თავმჯდომარეობა?!

წავიდა პარტიის თავმჯდომარეობიდან. მისთვის უკვე არაფრის მომცემი თანამდებობიდან და მეტი დარდი არა აქვს – უცქიროს ყოველდღე მათიკაშვილ-ოხანაშვილებს... მაგრამ დარჩა – გავლენებით. წავიდა საჯარო სივრციდან, მაგრამ დარჩა კულისებს მიღმა, საიდანაც გავლენების შენარჩუნება მაინც შესაძლებელია. წავიდა პასუხისმგებლობებიდან, ანუ იტყვის – „მე რა შუაში ვარ, აგე კობახიძის პარტია“.

ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ დასრულდა! კობახიძის ამარა დარჩენილი გაკოტრებული, უხერხემლო მოცემულობა შეატოვა ამომრჩეველს – ეს იყო მოტყუება არჩევნების წინ იმ ხალხის, ვინც ხმა მისცა ივანიშვილს და არა კობახიძეს. დატოვა კლანური მმართველობა სასამართლოში – ყველაზე დიდი ბოროტება და უსამართლობა! დატოვა მართვის ყველაზე ცუდი სისტემა – არც ერთი თავისუფალი ინსტიტუტი!

რასაკვირველია, არ ვივიწყებ, რაც ქვეყნისთვის და ცალკეული ადამიანებისთვის სიკეთის სახით გააკეთა და უფალი შეიწირავს ამ სიკეთეს. არც მის როლს ვივიწყებ 2012 წელს აუცილებელ და გარდაუვალ ცვლილებებში და ესეც ფაქტია!

მხოლოდ გულისტკივილით და სინანულით შემიძლია დავძინო, რომ მთავარი დაპირება და იდეა – შეგვექმნა სამართლიანი სახელმწიფო, დატოვა შეუსრულებელი.

– ასე უნდა გავიგოთ, რომ ის მემკვიდრედ ტოვებს კობახიძეს?

– არა, მემკვიდრედ კია არა, ტექნიკური შემსრულებელია კობახიძე. უსიტყვო და იოლია მისი მართვა. ამიტომაც შეირჩა იგი.

– თქვენ გაიხსენეთ, როდესაც კობახიძე კალაძემ მოიყვანა პარტიაში. რა შეიცვალა მას შემდეგ და როგორ იქცა ის პარტიის ლიდერად?

ვინ გააკეთა მასზე ფსონი და უნდა გავიგოთ ეს იმგვარად, რომ კალაძე და კობახიძე ერთი გუნდია?

– კობახიძე კალაძის ფრთის ქვეშაა, უფასებს, რომ კალაძემ წარადგინა პარტიაში და ერთ ხაზს ატარებდნენ. დაწინაურება რა ნიშნით მოხდა? უპრინციპობით და ყველაფერზე ხელის მოწერით. კობახიძე ამ ნიშნით შეირჩა პარტიის თავმჯდომარედ. ის იყო დამყოლი და ასრულებდა ყველა სახის დავალებას.

განსაკუთრებით, როცა მე წამოვედი პირველი და შემდეგ რამდენიმე ძველმა თანამებრძოლმა დატოვა პარტია. აი ამ დროს წამოიწია მედროვეთა გუნდმა ... აი ვინ დარჩა ივანიშვილს, არც ერთი ძველი თანამებრძოლი.

– იცნობთ ივანიშვილს და იცით მისი ხასიათი. ხომ არ ეცდება ივანიშვილი, რომ იგივე კალაძისგან ან გახარიასგან შექმნას ოპოზიცია და მას დაეხმაროს?

– უნდა ველოდოთ გადაჯგუფებებს, ახალ სვლებსაც, თუმცა „ქართული ოცნების“ დამარცხება ივანიშვილის გარეშე გარდაუვალია... ეს უკვე რეალობაა.

გახარია-კალაძის ოპოზიციონერობის ნაკლებად მჯერა. ველოდები, რომ იქნება მცდელობა სხვადასხვა პარტიების მოსყიდვის და მანიპულაციების. უნდა დასრულდეს ეს ეტაპი. პოლიტიკა უნდა იყოს ცოცხალი და რეალური. დრო რაც დაიკარგა, უნდა აღდგეს. ივანიშვილს ექნება სურვილი, ჰქონდეს უსაფრთხო გარემო და ამისთვის იზრუნებს.

– გამოდის ინფორმაცია ციხეებიდან, რომ ბევრი პატიმარი კოვიდინფიცირებულია. რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით და რას ფიქრობთ ამნისტიაზე, რას იწონებთ ან იწუნებთ შეწყალების აქტში?

– რაც შეეხება პატიმრებს, კოვიდის პირობებში აუცილებელია მეტი თავისუფლება პატიმრებს და ამნისტიასაც უნდა ჰქონოდა მიზნად მეტად დაფარვა პრობლემების. ავიღოთ სასამართლოს პრობლემა – ხომ ფაქტია, არაა თავისუფალი სასამართლო? აი ამიტომაც, მეტად ფართო უნდა ყოფილიყო ამნისტია. დაემატა რამდენიმე მუხლი, მაგრამ მეტი დარჩა უკმაყოფილო... სამწუხაროდ, არასწორად მოხდა ამ პროექტის შექმნა და ეს გამოჩნდა. არ იყო ღია დისკუსია, არ იყო გამჭვირვალე პროცესი.

„დასავლეთის თვალში, ივანიშვილი უწყინარი ადამიანია“

პაატა ზაქარეიშვილი: „ივანიშვილი ხედავს, რომ ვერა და ვერ შედგა „ოცნება“ პარტიად. სუქდება და სუქდება მისი ფულით. დასაკლავად გამზადებული ღორივით არის, მოძრაობა რომ აღარ შეუძლია და ღრუტუნებს და ღრუტუნებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს

– ბატონო პაატა, უკვე ძალიან ბევრი შეფასება მოვისმინეთ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების შესახებ. თქვენ მისი გუნდის წევრი იყავით და საინტერესოა თქვენი შეფასებები. ივანიშვილი აცხადებს რომ სრული დისტანცია ექნება „ოცნებისგან“, არანაირ რჩევებს არ მოგცემთო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– თუ კარგად გავაანალიზებთ, ეს მოსალოდნელიც იყო. არსებობს ინფორმაცია, რომ თითქოს ივანიშვილი გაურბის რაღაცას, თუმცა მე ვამბობ, რომ პირიქითაა. ივანიშვილი მიდის მაშინ, როცა კარგადაა სიტუაცია და მოდის მაშინ, როცა ცუდადაა სიტუაცია. დღეს კი არ გაურბის სიტუაციას, არამედ კმაყოფილია სიტუაციით. ის ბედნიერია, პარლამენტში დატოვა მხოლოდ თავის პარტია „ქართული ოცნება“, ეს რეგვენი ოპოზიცია გარეთაა და იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ თავის თავს ანადგურებენ. მე მგონი, ძალიან ბედნიერი წავიდა.

– ანუ საფრთხე არ ემუქრება და გაეცალა პოლიტიკას?

– დიახ, არანაირი საფრთხე არ ემუქრება, საქართველოში კარგად მოიწყო ფეოდალური ვითარება, გადმოიფორმა კიდეც ყველა ბიზნესი აქეთ და იცის, რომ არაფერი არ მოუვა. ეს არის მისი კომფორტის უზენაესი წერტილი. ქართული ოცნება თუ ჰქონდა მას, აი სწორედ ესაა, რა სიტუაციაშიც ის დღეს არის. სრულიად აკონტროლებს ვითარებას, შეუძლია მშვიდად და წყნარად წავიდეს და დაისვენოს. მისთვის პოლიტიკა ყოველთვის მიუღებელი იყო, ყოველთვის ეზარებოდა ყოველდღიური პოლიტიკა. მე დღეს ვფიქრობ, რომ ის მართლა მიდის პოლიტიკიდან, მაგრამ არ მჯერა, რომ სამუდამოდ მიდის.

– თუ დასჭირდა, მობრუნდება?

– დღეს მას არ უნდა დაბრუნება, ეს არ არის მის გეგმებში, მაგრამ თუ გაუჭირდა მას, მის კომფორტს და მის კეთილდღეობას, ის აუცილებლად დაბრუნდება. დღეს ის რეალურად მიდის, მართლა ეხსნება „ქართულ ოცნებას“ ერთადერთი მიზეზის გამო.

– რა მიზეზის?

– მას უნდა, თავისი პარტია, გახდეს პარტია. ამდენ ხანს პარტია იყო ივანიშვილის, დღეს კი უნდა, რომ ამ პარტიას ერქვას არა ივანიშვილის, არამედ ივანიშვილის დამცველი პარტია. მას ურჩევნია, რომ ამ პარტიიდან ამოიშალოს რამდენიმე პარტია, ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ, თუნდაც ერთმანეთი დაჭამონ. რადგან ივანიშვილი ხედავს, რომ ვერა და ვერ შედგა ეს პარტია. სუქდება და სუქდება ივანიშვილის ფულით. დასაკლავად გამზადებული ღორივით არის, მოძრაობა რომ აღარ შეუძლია და ღრუტუნებს და ღრუტუნებს. ეს პარტია შესაძლოა დაიშალოს კიდევაც.

არც ამას შეუშლის ხელს ივანიშვილი, პირიქით, ენდომება ეს პროცესი.

– უკვე საუბრობენ, რომ პარტიის შიგნით სერიოზული დაპირისპირებებიაო.

– რა თქმა უნდა, იქნება. ივანიშვილმა დატოვა ვირთხების კასრი და ფიქრობს, ვინც გადარჩება, ვინც იქნება ყველაზე ძლიერი, სწორედ იმაზე დავდებ ფსონსო. მხოლოდ ივანიშვილის ფულს ჭამდა ეს ხალხი და მას შეჰყურებდა თვალებსა და ხელებში. შედეგი კი ვერ დაინახა. ადგა და გაეცალა. ამიტომ გადმოიფორმა ბიზნესები, არამარტო თავისთვის, ფონდიც შექმნა.

– თავად ამბობს, რომ 90% გავეცი, მხოლოდ 10%-ს ვიტოვებ ჩემთვისო. ეს სიმართლეა?

– არ მგონია ასე იყოს. ფონდი იმიტომ აქვს, რომ უფრო მეტად დაცული იყოს მისი ფული. ფონდის მართვა უფრო იოლია. თითქოს ივანიშვილს სანქციების ეშინია, ეს სრული ზღაპრებია. ეს სასაცილოა, იმიტომ, რომ დედამიწის ზურგზე მოსახლეობის და სახელმწიფოების მხოლოდ 20% ცხოვრობს დემოკრატიაში. 80% არადემოკრატიულია. მათ შორის, საქართველო. დემოკრატიული სამყაროსთვის, რომელიც უყურებს არადემოკრატიულ სამყაროს, მათი გადმოსახედიდან, ივანიშვილი არის იდეალური მმართველი, რომელიც არ არის დესპოტი, სისხლს არ ღვრის, მასობრივად ხალხს ციხეებში არ სვამს. 8 წელია ომი არ ყოფილა და მეტი რა უნდათ?! ქართველებისგან რომ დემოკრატია არ გამოვა, ეს უკვე დაამტკიცეს ქართველებმა. ასე ცხოვრობს მსოფლიოს 80%. თუ შენ, შენ ხალხს არ დევნი და ციხეში არ ალპობ, როგორც პუტინი აკეთებს ამას, მაშინ არავითარი სანქციები არ იქნება.

– ანუ მის ქონებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება?

– არანაირი. დასავლეთის თვალში, ივანიშვილი უწყინარი ადამიანია, ამიტომ არანაირ სანქციებს არ დაადებენ. ვისაც სანქციის დადება შეუძლია, ის თვლის, რომ ივანიშვილი უწყინარი ადამიანია. თორემ მე და თქვენ კი გვაქვს მასთან პრეტენზიები. ყველა ბიზნესი მოაგროვა საქართველოში, მისთვის საქართველო კომფორტული ზონაა. დღეს ივანიშვილი ძალიან კმაყოფილი და ბედნიერია. თუ გაუჭირდა, არც მობრუნებაზე იტყვის უარს.

– ივანიშვილმა თავის ინტერვიუში 4-5 წელი ახსენა. ეს პერიოდი არ გაუჭირდება პარტიასო. რისი თქმა უნდოდა ამით?

– ოთხ წელში მოდის ახალი საპარლამენტო არჩევნები. აი მაშინ შეიძლება გამოვიდეს ამ ნეტარებიდან და განცხრომიდან. დღეს ის მართლა მიდის, მართლა უნდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ერთმანეთს ცხვირპირი დაუმტვრიონ და გამოჩნდეს ყველაზე მსუყე და ძლიერი ვირთხა. ეს მართლა უნდა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, არაფერში არ ჩაერევა.

– და ყველაზე ძლიერის გვერდით დადგება 2024-ში?

– რა თქმა უნდა! ხოლო რა ძალაც არ უნდა აღმოცენდეს „ქართული ოცნებიდან“, არც ერთი არ დაარტყამს მას. ივანიშვილს უნდა, რომ მომავალი პოლიტიკური სპექტრი დაკომპლექტებული იყოს „ქართული ოცნების“ ნარჩენებისაგან, ნანგრევებისაგან. ამიტომ მას ძალიან სწორი გათვლები აქვს, ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ თვლის. ახლა მთავარი ამოცანა ივანიშვილისთვის არის ადგილობრივი არჩევნები. ადგილობრივ არჩევნებამდე სულ გაჩუმდება, მას მართლა აინტერესებს, როგორ შეძლებს „ქართული ოცნება“ მის გარეშე არჩევნების მოგებას, ან წაგებას.

– რა პროცესები წავა „ქართულ ოცნებაში“? უკვე ითქვა, რომ კალაძეს უნდა პრემიერობა, ამის აბცია აქვსო.

– ამას არ გამოვრიცხავ. თუმცა კალაძე აუცილებლად დაელოდება ადგილობრივ არჩევნებს ბოლომდე. ანგარიშს ჩააბარებს თბილისელებს. ამიტომ მე არა მგონია, რომ ის წავიდეს მერობიდან არჩევნებამდე. რას დააპირებს კალაძე, დატოვებს საკუთარ კანდიდატურას, რაშიც ეჭვი მეპარება, თუ სხვას შემოგვთავაზებს მერად, აი მაშინ გამოჩნდება კალაძის გეგმები რა არის. აშკარაა, რომ ყველაზე ძლიერი ფიგურა არის კალაძე, როგორც პიროვნულად, ისე გუნდი ჰყავს ძლიერი.

– კობახიძეც კალაძის გუნდის წევრად მოიაზრება.

– კი, ასეა, მაგრამ ვინაიდან კობახიძე არის არაპოპულარული, კალაძე ყველაზე იოლად ჩაძირავს კობახიძეს. შეიძლება მას ბრძოლა არ გამოუცხადოს საჯაროდ, მაგრამ ჩახსნის ნელ-ნელა. მისი მოყვანილია, მაგრამ ახლა კალაძეს აშკარად არ სჭირდება არაპოპულარული ადამიანები. ყველა დაიწყებს კობახიძეზე ხელის შეწმენდას. თუ ოპოზიციას ჭკუა აქვს, უნდა ურტყამდნენ კობახიძეს.

– ადგილობრივ არჩევნებამდე სერიოზული ცვლილებები არ მოხდება?

– არა, იმიტომ, რომ სტაბილურად უნდა მივიდნენ ადგილობრივ არჩევნებამდე. აი მერე, იმის და მიხედვით, რომელი ძალა გაიმარჯვებს „ქართული ოცნებიდან“ ადგილობრივ არჩევნებში, ვინ მიიტანს საერთო ყულაბაში ყველაზე მეტ ხმას, სწორედ ის ფრთა დანინაურდება. ღარიბაშვილს, კალაძეს, გახარიას, ყველას თავისი გუნდი ჰყავს. გახარიას უფრო ნაკლებად გამოკვეთილი. ეს საკმაოდ სერიოზული არჩევნები იქნება. აი ამის მერე დაიწყება კონკურენცია „ოცნებაში“.

ანი მიროტაძე: „მთავარი დაპირისპირება კალაძესა და კობახიძეს შორისაა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რომ ნაკლებად საფრთხის მატარებელი იყო კარგად მართული კობახიძე.

– ჰყავს ივანიშვილს ფავორიტები?

– მას ფავორიტები აღარ სჭირდება. მას ჰყავს მისი გავლენის შენარჩუნებისთვის საჭირო ადამიანები. ეს არის ძალოვანი უწყების ბლოკი, რომელიც აკონტროლებს უსაფრთხოებას.

– თუ პრემიერმა მოინდომა და ძალოვანი ბლოკის მინისტრები შეცვალა, მაშინ რა გარანტიები რჩება?

– პარლამენტი არ დაამტკიცებს და თვითონ მოუწევს წასვლა. აგერ გახარიამ მოინდომა ნათია მეზვრიშვილი დაენიშნა მინისტრად და იძულებული გახდა მერე მეზვრიშვილი, რომ საერთოდ წასულიყო საჯარო სამსახურიდან. ყველამ იცის, მათ შორის პრემიერმა, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარემ, რომ რა მნიშვნელობა აქვს, ივანიშვილი სად არის. ყველამ იცის, რომ ის არსად წასულა.

– ანუ „ოცნების“ პოლიტიკა აგებულია იმაზე, რა სურს ბიძინას და ყველამ იცის, რაც სურს?

– ბუნებრივია. ყველამ იცის, რა სურს ბიძინას და არ უნდა აწყენინოს ბიძინას, ხოლო თუ აწყენინებს, მისი საქმე წავა ცუდად. მისი გუნდი მთლიანად აწყობილია ამაზე.

ხანდახან განხიბვლებიც ემართება ხოლმე კონკრეტული ადამიანების მიმართ და ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამოავლინა ამა თუ იმ ადამიანმა დამოუკიდებლად აზროვნების უნარი. ივანიშვილს ჯერ კიდევ ახალ წლამდე უნდოდა წასვლა, მაგრამ გადადო. როგორც კი მზაობა დადგა, მიიღო გადაწყვეტილება. შესაძლოა ცოტა კიდეც დააჩქარა.

„ოცნებისთვის“ ყველაზე რთული ეტაპია, რადგან ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ „ოცნებისგან“ უნდა გათავისუფლდეს, რაც პოლიტიკურ ველზე ცვლილებებს ნიშნავს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ დღის წესრიგში დადგება ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორების ეტაპი. ამ ანალიზს ლოგიკური ანალიზი იძლევა. ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ამ გუნდისგან არაფერი გამოვა. კი აქო, მაგრამ ირაკლი კობახიძის გუნდში არავინ რომ აღარ დარჩება და გავლენებზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს ხომ ცხადია. ყველა ეს მოსაზრება, რაც გითხარით, ეყრდნობა ინფორმაციებს, რომელიც მაქვს, ასე ხდება ჩემ შემთხვევაში.

თამარ ჩხეიძე: „ქართული ოცნების“ დაშლა გარდაუვალია“

„ციფრები კოვიდინფიცირებულების შესახებ იმაზე უფრო გაყალბებულია, ვიდრე არჩევნების შედეგი“

მარიამ მჭედლიშვილი

„ხელისუფლება ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის საბოლოოდ მოკვლის ამოცანას“

მმართველი პარტიის ყოფილი თავმჯდომარის, პოლიტიკიდან მეორედ წასული ბიძინა ივანიშვილის გარშემო ბევრი ჭორ-მართალი ვრცელდება. ადამიანების უმრავლესობა არ იჯერებს, რომ იგი პოლიტიკას და გავლენის სფეროებს რეალურად ტოვებს. გავრცელებული ინფორმაციით, მას მალე მიჰყვება პრემიერი გახარია. ამბობენ იმასაც, რომ ივანიშვილი იდგება იმ პარტიის უკან, რომელსაც რამდენიმე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი დააფუძნებს.

არის თუ არა რეალური ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? რა გზას ადგას ოპოზიცია? აქვს თუ არა აზრი პარლამენტში არჩევნების შედეგების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნას? რა შეიძლება იყოს ბიძინა ივანიშვილის მეორედ წასვლის მიზეზი? სად ვლინდება ხელისუფლების არაადამიანური პოლიტიკა? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

– სხვა სახელმწიფოებში, როცა მმართველი (გამარჯვებული) პარტიის თავმჯდომარე თანამდებობიდან მიდის, ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ბიძინა ივანიშვილი თანამდებობიდან წავიდა. რიგგარეშე არჩევნების საკითხი ისედაც იდგა დღის წესრიგში. რას იტყვით?

– ვადამდელი არჩევნები ისედაც დასანიშნი იყო, მაგრამ არ ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამას აპირებდნენ. ისინი ამას არ თანხმდებიან. ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს ისევ მოითხოვს. საერთოდ, ოპოზიციის ერთიანობა და მიზანსწრაფულობა მისასალმებელია. პარლამენტში არშესვლა ამ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილებაა. ბევრი ოპოზიციონერი კარგად წვდება ამ ბოიკოტის მნიშვნელობას. ნაწილი ვერ აცნობიერებს, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას. კარგია, რომ ეს ნაწილი აყოლილი მაინც არის ამ დინებას. ოთხი ადამიანის შესვლით პარლამენტში სიტუაცია არ იცვლება. ამ ხალხმა დაირქვა ოპოზიცია და ევროპული პარტია. სინამდვილეში, ისინი არც ოპოზიციონერები არიან და არც ევროპელები. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ, ოპოზიცია რომ პარლამენტში შესულიყო! მაშინ ხელისუფლებაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ იქნებოდა იმ დროს, როცა არჩევნები გაყალბდა.

– ოპოზიციას რამენაირად წაადგება ივანიშვილის გადაწყვეტილება პარტიიდან და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ?

– ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, წავიდა თუ არა რეალურად ივანიშვილი. რამდენიმე წლის წინ მან ასევე განაცხადა, რომ პოლიტიკას ტოვებდა, მაგრამ, უბრალოდ, ჩრდილში გადაინაცვლა და ყველაფერს მართავდა. შეიძლება შეიქმნას რეალობა, რომ ოპოზიციას გამოადგეს ივანიშვილის ეს ნაბიჯი.

– მმართველი პარტიის ინიციატივით, პარლამენტში იქმნება საგამოძიებო კომისია, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს შეისწავლის. „ოცნების“ დაპირებით, თუ კომისიამ დაადგინა, რომ არჩევნები 1%-ით მაინც გაყალბდა, იქნება ვადამდელი არჩევნები. ხომ შეიძლება, „ოცნებასაც“ დასჭირდეს რიგგარეშე არჩევნები?

– თუ დადგება ეს მომენტი, თუ „ქართულ ოცნებასაც“ დასჭირდა არჩევნები, მაშინ ის ამას დათანხმდება. ახლა არა მგონია, ამისთვის ემზადებოდნენ. მარტო ოქმების გადახედვას აზრი არა აქვს. როცა ოპოზიცია სასამართლოს მიმართავდა, მაშინ მოთხოვნა არ დაუკმაყოფილეს. ეს ოქმები გადასწორებულია. თუ გამოძიებაა, მაშინ ის კომპლექსური უნდა იყოს და გამოიძიონ ყველაფერი, სიებით დაწყებული, მოსყიდვით და დაშინებით დამთავრებული.

– ოპოზიციამ რომ სულ არ ამოიღოს ხმა, რამდენად კანონზომიერია იმ პარლამენტის ხანგრძლივად მუშაობა, სადაც არის „ოცნების“ 90 წევრი და 4 დეპუტატი, რომელთაც ოპოზიციას ვუწოდებთ?

– ეს ნორმალური ქმედითი პარლამენტი არ არის. პროცესები ისე ვითარდება, რომ „ქართული ოცნების“ დაშლა გარდაუვალია. ყველაზე შემაშფოთებელი მაინც ეკონომიკისთვის ბოლოს მოღება და ადამიანების უფლებების საშინელი შელახვაა. საქართველოს ისედაც სუსტი ეკონომიკა ჰქონდა. თუ რაღაც კიდევ ფეთქავს და ადამიანები კერძო სექტორში როგორღაც საქმიანობენ, იმასაც კლავენ. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მიმქრალ ეკონომიკას პულსს უსინჯავენ, რომ ბოლომდე ჩაკლან. ვირუსთან ბრძოლამ მთელ მსოფლიოში აბსურდული ხასიათი მიიღო, საქართველოში კი ადამიანები შიმშილის ზღვარზე მიიყვანეს და მათ გადაადგილების უფლებაც წაართვეს. სხვაგანაც არის აკრძალვები, მაგრამ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ასე არ კეტავენ. ისეთი შეზღუდვებია, რომლებიც დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის. ვირუსები ადრეც ყოფილა და კიდევ იქნება, ასეთი ზომები კი ანტისაკაცობრიო, ანტიჰუმანური, საქართველოში კი ანტიეროვნულიცაა.

– გაზაფხულზე საქართველოს ხელისუფლებას რეიტინგი გაეზარდა კოვიდ-19-თან ბრძოლის ფონზე. ახლა რისი თქმა შეიძლება? ყოველდღე ინფექციისგან ბევრი ადამიანი იღუპება.

– ახლა ხელისუფლება ამაზე ქულებს ვეღარ დაიწერს. ამჟამად ის ასრულებს ეკონომიკის საბოლოოდ მოკვლის ამოცანას. გამოცხადებულ მონაცემებს არანაირი დატვირთვა არა აქვს – უნდათ, გაზრდიან, უნდათ, შეამცირებენ. ციფრები კოვიდინფიცირებულების შესახებ იმაზე უფრო გაყალბებულია, ვიდრე არჩევნების შედეგი. არჩევნებზე რაღაც კონტროლი მაინც არსებობდა და შეუსაბამობებზე ინფორმაცია გვაქვს. ჯანდაცვის სფეროში ზუსტად არავინ არაფერი არ იცის და გამკონტროლებელიც არ ჰყავთ. ვაქცინაციას გვპირდებიან. არა მგონია, ხელისუფლებას ეს ეჩქარებოდეს. თუ ეკონომიკის ობიექტების გახსნა არ მოუნდებათ, მაშინაც გამოაცხადებენ საშინელ ციფრებს და გააგრძელებენ ლოკდაუნს. ადამიანის უფლებები ტოტალურად ირღვევა. ყველაზე საშინელება მაინც მოსახლეობაში პანიკის დათესვაა. შიში და შეზღუდვა ასუსტებს ადამიანის იმუნიტეტს და თრგუნავს მას.

– ივანიშვილის საკითხს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რატომ მიიღო მან წასვლის (რეალურად ან მოჩვენებითად) გადაწყვეტილება?

– ამაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. შესაძლოა, დასავლეთიდან იყო ზეწოლა და მან ჩრდილში გადაინაცვლა. შეიძლება, მოზღვავებული პრობლემების ფონზე გაექცა პასუხისმგებლობას. ქონებაზეც სხვადასხვა აზრი არსებობს. მან ქონება ფონდ „ქართუში“ გადმოიტანა. ამბობენ, რომ ადრე დასახელებული ქონება მარტო მისი არაა. არ ვიცი. რაც „ქართუს“ გადმოუფორმა, იმით არაფერი შეცვლილა.

– ადამიანების ნაწილმა „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა. მათთვის ივანიშვილის გადაწყვეტილება დარტყმაა?

– რასაკვირველია. ანომალიაა, რომ ასეთ პირობებში „ქართულ ოცნებას“ ჰყავს მხარდამჭერები. ფაქტია, რომ ასეთები არსებობენ. მხარდამჭერებმა „ოცნებას“ ხმა მისცეს არა ვოლსკის და კობახიძის, არამედ, ივანიშვილის გამო. ამ ადამიანებისთვის ეს შოკია.

„ახალი თაობის“ კითხვებს სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი ამირან სალუქვაძე პასუხობს.

„ივანიშვილი პოლიტიკაში მხოლოდ ოპოზიციის რევანშის დროს დაბრუნდება“

ამირან სალუქვაძე: „სააკაშვილი, უბრალოდ, ბლოგერია თუ პარტიის არაფორმალური ლიდერი?!“

გულიკო ბალაძე

„ბატონო ამირან, როგორც ჩანს, საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, რადგან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან და პარტიიდან ამჯერად მართლა წავიდა და აღარ უნდა ველოდოთ მის მობრუნებას. როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის ასეთ გადაწყვეტილებას? მის პოლიტიკიდან წასვლას ამ ეტაპზე ელოდით?*

– ინფორმაცია მქონდა, რომ წასვლას გეგმავდა. დავწერე კიდეც, ახალი წელი დიდი პოლიტიკური ცვლილებებით დაიწყებოდა. ისე, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ახლა წავიდოდა თუ არა, ეს მოლოდინი რატომ უნდა გვქონოდა, როცა გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე იყო. როგორც წესი, გამარჯვებული პარტიის ლიდერები პოლიტიკიდან არ მიდიან. ამიტომ, არა მგონია, ამის მოლოდინი ვინმეს ჰქონოდა. თუმცა, ერთი თვით ადრე იყო ინფორმაცია. ეს მისი გადაწყვეტილებაა. ბიძინა ივანიშვილი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანია.

– ბიძინა ივანიშვილმა თავისი წასვლით, ზოგი გულდაწყვეტილი დატოვა, ზოგიც, ალბათ, გახარებული. ოპოზიციის სახით. სააკაშვილმა განაცხადა, რომ დროა ძალაუფლება ოპოზიციას გადაულოცონო. ამ კუთხით თქვენ რა ცვლილებებს ელოდებით?

– სააკაშვილის პარტიის თავმჯდომარემაც დატოვა თანამდებობა. მიზეზები ახსნა, მაგრამ მისი წასვლა სააკაშვილის პარტიისთვისაც მოულოდნელი იყო. თავის თავმჯდომარეებზე ისაუბრონ, რატომ წავიდა. თვითონ კარგად ჩამოყალიბდნენ, სააკაშვილი, უბრალოდ, ბლოგერია თუ პარტიის არაფორმალური ლიდერი.

– ოპოზიციის ზოგი წარმომადგენელი ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას გაქცევად მიიჩნევს. რატომ არის გაქცევა და არა, ვთქვათ, ღირსეული წასვლა პოლიტიკიდან?

– ყველაფერს თავისი ჭკუით აფასებენ. საკმაოდ მდარე შეფასებებია, განსაკუთრებით იმ ქველმოქმედებასთან დაკავშირებით, რაც ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ეტაპზე განახორციელა. საერთოდ, ქველმოქმედებას არ აკრიტიკებენ ხოლმე. ეს ძალიან დაბალი დონის მაჩვენებელია. მით უმეტეს, არანაირი საფუძველი არ აქვთ, ბიძინა ივანიშვილის ქონების წარმომავლობაზე რაიმე პრეტენზია გააჩნდეთ.

საკუთარი ქონების წარმომავლობა კარგად გამოიკვლიონ და მერე ილაპარაკონ. ვინ არის გაქცეული, ძალიან კარგად ჩანს. გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს, როცა ხელისუფლების ყველა შტოს აკონტროლებს, გასაქცევი რა უნდა ჰქონდეს. პოლიტიკიდან რომ წასულია, მაგით უფრო დაცულია? როგორც წესი, ჩვენ მიჩვეული ვართ ადამიანების პოლიტიკაში მოსვლას და ...

– სამუდამოდ დარჩენას...

– საკუთარი ფინანსური პირობების გასაუმჯობესებლად. ბიზნესმენები პარლამენტში შეძრომას ცდილობენ. პარლამენტის მანდატის მოპოვებისთვის იბრძვიან, რომ თავი დაცულად იგრძნონ. ჩვენ ამას მიჩვეული ვართ. გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარის გაქცევას არა, მაგრამ დამარცხებული პარტიის გაქცევას მიჩვეული ვართ.

მესმის, ოპოზიციას უნდა, ბიძინა ივანიშვილის წასვლა მდარე დღის წესრიგის თემად აქციოს, მუდმივად ამაზე ილაპარაკოს. მე დიდი ხანია ვსაუბრობ, რომ ახალი ძალებია საჭირო. ერთ-ერთი პირველი ვიყავი, რომელმაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე განვაცხადე, შემდეგაც არაერთხელ ვთქვი და ახლაც, ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ დავწერე, რომ ეს ქმნის ახალ რეალობას იმ რესურსის გამოსავლენად, რომელი რესურსიც, წესით, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს.

30 წლის განმავლობაში ერთი და იგივე პარტიებმა დაგვღალეს. ნახევარპროცენტიან და 1%-იან პარტიებს, რომლებიც წლების განმავლობაში სოციოლოგიური კვლევის ცდომილების ფარგლებში ფართხალებენ, ერთადერთი, ბიძინა ივანიშვილის ღანძღვა ასულდგმულებდათ. ბიძინა ივანიშვილი წავიდა, ახლა საღანძღავ თემად წასვლა იქნება. ამით უკვე დავიღალეთ.

– საერთოდ, ღანძღვითაც არ დავიღალეთ?

– საერთოდ, უარყოფითმა დღის წესრიგმა და ამაზე საუბარმაც ძალიან დამღალა. მათ ამგვარ დღის წესრიგზე გავლენას ვერ ვახდენ. თუმცა, ამაზე თვეებია ვსაუბრობ, ამ ზიზღის ენასთან დაკავშირებით უამრავი პოსტი გამოვაქვეყნე. ეს ვითარება და არსებული დღის წესრიგი იმ პოლიტიკოსებმა შექმნეს, ვინც დღედაღამ ტელევიზიის ეკრანზე არიან გამოდგმული. ახლაც ძველებურად გააგრძელებენ. არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილი რამდენ ხანს იქნება მათი საუბრის თემა, ალბათ, ადგილობრივ არჩევნებამდე.

– ახალმა რეალობამ ახალი სივრცე უნდა შექმნას ახალი ძალებისთვის?

– ახალმა რეალობამ უნდა შექმნას მეტი სივრცე და მეტი კონკურენტული გარემო. ერთია, როცა ბიძინა ივანიშვილია პოლიტიკაში და, ფაქტობრივად, რეიტინგის ნახევარი მიაქვს და მეორეა, როცა პოლიტიკაში ასეთი ფიგურა აღარ არის. ამიტომ სივრცე არის და გზა ეხსნებათ არა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკაში არიან, არამედ, ვისაც პოლიტიკური საქმიანობის რესურსი და მიდრეკილება აქვს, უნდა გამოიჩინოს თავი.

პოლიტიკური საქმიანობა რთულია, რადგან გარკვეულ ფინანსურ რესურსს საჭიროებს. ამ კუთხითაც ჩნდება სივრცე, რომ ბიზნესს ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ღირებულებებიდან გამომდინარე მათთვის სასურველი პარტიები დააფინანსონ.

ეს ეხება არა მხოლოდ ბარიერგადალახულ, არამედ გადაულახავ პოლიტიკურ პარტიებსაც, რათა მოახდინონ გადალაგება. ჩვენთან გადალაგება ესმით ასე: არსებული პარტიიდან გამოდის და ქმნის ერთკაციან, პაწაწინა პარტიას, რომელიც დაბადებისთანავე მკვდარია.

– ანუ რებრენდინგია საჭირო

– 1-კაციანი პარტიის შექმნა რებრენდინგი არ არის. რებრენდინგია, როცა პარტიაში სახეებს, პროგრამას ცვლი. როცა მოქმედ პარტიას გამოეყოფი და ერთკაციან პარტიას ქმნი, ეს მარტივ მამრავლებად დაშლაა, რაც დიდ პარტიებს აწყობთ. დიდი პარტიებია „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა, პლუს კიდევ ერთი-ორი პარტია, რომელმაც 3-4%-ის ფარგლებში აჩვენა შედეგები. თუმცა, მათაც არ აქვთ დიდი პერსპექტივა, თუ ვერ მიხვდებიან, რომ პარტიები უნდა გამსხვილდნენ.

– ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში თავისი მისია შეასრულა? არანაირად არ ელოდებით, რომ შესაძლებელია, რაიმე სახით ამ სფეროს კვლავ დაუბრუნდეს?

– არა მგონია ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს. მით უმეტეს, მალე ვერ დაბრუნდება. მაშინ დაბრუნების რაღაც გარკვეული საბაბი უნდა მიეცეს.

– რა საბაბი?

– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ დაბრუნდეს, მისთვის მიუღებელი რეალობა უნდა შეიქმნას. ვიცით ჩვენ, რა არის ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელი რეალობა. ეს არის ყოფილი ხელისუფლების რევანში. თუ ივანიშვილი ამ რევანშის საშიშროებას ვერ დაინახავს, პოლიტიკაში აღარ დაბრუნდება. ბიძინა ივანიშვილმა ეს აღნიშნა თავის წერილში, რომელსაც, ეტყობა, უზარმაზარი დრო დაუთმო.

ბიძინა ივანიშვილის წერილი 30 გვერდზე მეტია. ყველაფერი კარგად რომ ჩამოაყალიბო, 30 გვერდის დაწერას რამდენიმე კვირა მაინც სჭირდება. მხოლოდ ამით ხომ არ იყო დაკავებული. ჟურნალისტი ხართ, უამრავი სტატია დაგიწერიათ და ხვდებით, რომ მისი წერილი გაშალაშინებულია.

– დიახ, ძალიან.

– ამიტომ, ჩათვალეთ, რომ წერილი ბოლო თვეების განმავლობაში მის ნაფიქრალს გადმოსცემს. რამდენადაც ვიცი, იკეტება და თვითონ წერს. ამას რომ გავაანალიზებთ, მივხვდებით, მიხეილ სააკაშვილის ახლანდელი განცხადებები, თითქოს ივანიშვილი რაღაცის გამო გაიქცა, სისულელეა. ასეთი წერილები ერთ დღეში არ იწერება.

ინფორმაცია შემოდგომიდან მქონდა. რომ ივანიშვილი წასვლაზე ფიქრობდა. გამოვრიცხავ, რევანშის გარდა, სხვა მიზეზით ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას.

– პოლიტიკიდან გამარჯვებული პარტიის ლიდერი წავიდა, მაგრამ ნაწყენი წავიდა? მოგეხსენებათ, ღანძღვის მთელი ნიაღვარი მიდიოდა მისი მისამართით.

– ვფიქრობ, თავისი მისია ბიძინა ივანიშვილმა ბოლომდე ვერ შეასრულა. თავის წერილში ამაზე წერს კიდეც. რასაც არ წერს, მისი ქვეტექსტებში ამოკითხვა შეიძლება. მე ჩემი განცდა მაქვს. ყოველ შემთხვევაში, უამრავი მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. შეიძლება გაკეთებულიყო და ვერ გაკეთდა.

– ხელი რამ შეუშალა?

– ბევრჯერ ვთქვი, ამ ჭუჭყისა და ნიაღვრის პირობებში შეგნებულად არ ვსაუბრობ იმ პრობლემებზე, რა პრობლემებზეც უნდა ვსაუბრობდეთ პოლიტიკოსები, საექსპერტო წრეების წარმომადგენლები, ჟურნალისტები. ახლა ამის სივრცე არ არის. ამიტომ ახლა ამ თემაზე არ ვისაუბრებ. ბევრმა რამემ შეუშალა ხელი, საკმაოდ დიდი თემაა.

წყენა, რა თქმა უნდა, ექნება. საქართველოში კი არა, უამრავ ქვეყანაში ვერ მოძებნით ადამიანს, რომელიც თავისი ქონების დიდ ნაწილს ქველმოქმედებას ახმარს. ბიძინა ივანიშვილს უამრავი რამ აქვს გაკეთებული, რისთვისაც მას მადლობა არ მოუთხოვია. ამ კუთხით განსხვავებული პიროვნებაა, მაგრამ დედისა და ოჯახის გინება და დღედაღამ ტალახის სროლა, მას ნამდვილად არ დაუმსახურებია.

ბევრჯერ დავწერე, აკრიტიკეთ ეს ადამიანი პოლიტიკურ ჭრილში, ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, დეოკუპაციის საკითხებზე, აკრიტიკეთ საქმიანად, მაგრამ ღანძღვა-გინება და ოჯახზე შეხება, ოპონირების ძალიან მდარე დონე იყო. ამ მხრივ ბიძინა ივანიშვილს წყენა ექნება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1195 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1195 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 145 ფიზიკური პირი დაჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს. გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1050 ფიზიკური პირი დაჯარიმდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას საქმის გამოძიება პროკურატურამ დაასრულა

ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილთან მიმართებით პროკურატურამ გამოძიება დაასრულა და საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდება – განცხადება ამის შესახებ საქმის პროკურორმა გააკეთა.

მისივე თქმით, საგამოძიებო უწყება გამოძიებას აგრძელებს ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა შესაძლო დამნაშავე პირთა გამოვლენის მიზნით.

– აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების, ი.მ.-სა და ნ.ი.-ს მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაასრულა. მათი ბრალეულობა საკმაოდ მაღალი მტკიცებულებათა სტანდარტით არის დადასტურებული. გამოძიების მიერ მოპოვებულია უამრავი მტკიცებულება. გამოკითხულია ათეულობით მოწმე. მოპოვებულია ყველა რელევანტური დოკუმენტაცია, ელექტრონული ინფორმაცია, რუკა და სხვა კარტოგრაფიული მასალები. ასევე, მიღებულია არაერთი ექსპერტიზის

დასკვნა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების ი.მ.-სა და ნ.ი.-ს მიმართ, უახლოეს მომავალში არსებითად განსახილველად წარიმართება სასამართლოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სხვა შესაძლო დამნაშავე პირთა გამოვლენის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას და გამოძიების შედეგების თაობაზე ინფორმაცია საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდება, – ამბობს პროკურორი მიხეილ სადრაძე.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანთან, საზღვრის დადგენის კომისიის წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა გასული წლის 7 ოქტომბერს დააკავეს.

პროკურატურა მათ სადემარკაციო კომისიაში მუშაობისას, საქართველოს ტერიტორიული ინტერესების საწინააღმდეგო რუკებით მუშაობაში ადანაშაულებს.

საგამოძიებო უწყების მტკიცებით, „ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემული რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც, როგორც აღინიშნა, არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში.“

დაკავებულების წინააღმდეგ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსთავში ცოტნე აღდგომელაძის განზრახ მკვლელობისთვის ვ.ზ-ს ბრალი წარუდგინეს

პროკურატურამ სოფელ ფოლადაანთკარში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

თავდაპირველად, ბრალდებულს ბრალი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვისას მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და განსაცდელში მიტოვება ედებოდა, თუმცა, მას მოგვიანებით ბრალდება განზრახ მკვლელობის მუხლით წარედგინა.

პროკურატურის ცნობითვე, დაკავებული პირი საკუთარი ავტომანქანით გზაზე მიმავალ ერთ-ერთ პირს დაედევნა და შურისძიების მიზნით, მოკვლის განზრახვით, მაღალი სიჩქარით დააჯახა ავტომობილი.

„საქართველოს პროკურატურამ, გარდაბნის რაიონის სოფელ ფოლადაანთკარში 2020 წლის 21 დეკემბერს მომხდარი ცოტნე აღდგომელაძის გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოპოვებული მტკიცებულებების შედეგად, ვ.ზ.-ს, რომელსაც ბრალი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვისას მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და განსაცდელში მიტოვება ედებოდა, ბრალდება განზრახ მკვლელობის მუხლით წარუდგინა.

სამართალდამცველებმა ვ.ზ. 2020 წლის 22 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 128-ე მუხლი წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული დამატებითი მტკიცებულების საფუძველზე დადგინდა, რომ 2020 წლის 21 დეკემბერს, ვ.ზ.-მ შურისძიების მოტივით, ც.ა.-ს განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 21 დეკემბერს, გარდაბნის რაიონის, სოფელ ფოლადაანთკარში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ვ.ზ.-სა და იაგო ჯიქურს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. მათ გასაშველებლად კონფლიქტში იაგო ჯიქურის დისშვილი – ცოტნე აღდგომელაძე ჩაერთო. ვ.ზ.-მ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა, რაც კვლავ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ი.ჯ.-მ დისშვილს მოუწოდა იქაურობა დაეტოვებინა, რის შემდეგაც ც.ა. მოპედით მისი საცხოვრებელი სახლისკენ წავიდა. ვ.ზ. საკუთარი ავტომანქანით გზაზე მიმავალ ც.ა.-ს დაედევნა და შურისძიების მიზნით, მოკვლის განზრახვით მაღალი სიჩქარით დააჯახა ავტომობილი. მიღებული დაზიანებების შედეგად ც.ა. ადგილზე გარდაიცვალა.

ვ.ზ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლელა წურწუმია: „იმდენი ვინერვიულე, წნევამ ამიწია“

ვინ სარგებლობს მომღერლის სახელით

– ვიღაცამ დადო ჩემი და მამულიჩას აპრილის თვის ლაივი, რაღაც ციფრები დააწერა ზემოდან და ვითომ ჩვენ ვათამაშებდით 5.000 დოლარს, შემდეგ ითხოვდა პირად მონაცემებს საბანკო რეკვიზიტებს, ვიღაცები გაბრიყვდნენ, პირადი მონაცემები მისცეს, ხალხო, ამ თაღლითს და წვდომა საკუთარ ფულთან, – ამის შესახებ მომღერალმა ლელა წურწუმიამ „ფეისბუქ ლაივის“ დროს განაცხადა.

ლელა წურწუმიას თქმით, ვიღაც ადამიანები სოციალურ ქსელებში მის სახელზე ყალბ გვერდებს ქმნიან და მოტყუებით ხალხს ფულს

სძალავენ, რის გამოც მან სამართალდამცავებს მიმართა. მომღერალი მოუწოდებს საზოგადოებას, იყვნენ ფრთხილად და ნუ მისცემენ საკუთარ პირად მონაცემებს უცნობ ადამიანებს.

– ვიდეო გადიოდა, ვითომ მე და მამულიჩა ვათამაშებდით ფულად პრიზს, ეს ვიდეო არის აპრილის თვის, თუ ამ ვიდეოს კარგად მოუსმენთ, მიხვდებით, რომ აღდგომის დღესასწაულის დროინდელია და ბოლოს გილოცავთ აღდგომას-თქო, ვამბობ....

ერთი პრობლემაა, რომ ადამიანები თაღლითობენ, მაგრამ ნუ აძლევთ სხვებს თქვენს პირად მონაცემებს, განსაკუთრებით საბანკო მონაცემებს, ცოტა უფრო მეტი ყურადღებით იყავით, დღეს, ალბათ, ვიღაცებმა ნახეს, რომ მათი საკრედიტო ბარათები არის ცარიელი.

ინსტაგრამზე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ თქვენი სახელით ეს ადამიანი აკეთებს ამას და ამას.

როდესაც ჩემი ადმინისტრატორი წერდა კომენტარებს, რომ არ ენდოთო, შლიდა ამ კომენტარებს, მერე კიდე ვიღაცები აზიარებდნენ, გეხვეწებით, ხელს ნუღა უწყობთ. ფეისბუქს მიგწერე, დაბლოკეს, მერე კიდევ გახსნა ახალი, მთელი ჯგუფი მუშაობს, ერთი კი არა. იმდენი ვინერვიულე, წნევამ ამიწია, მთელი ღამე არ მეძინა. გუშინ დილის 4 საათისთვის პოლიციას მივეცი ინფორმაცია, – ამბობს ლელა წურწუმია.

მამა ბასილ, გილოცავთ!...

ნებისმიერი ისტორია და თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრება ითვლის წარსულს, აწმყოს და მომავალს. ბედნიერია ადამიანი, რომელიც წარსულს ტკბილად, უფრო სწორედ, სუფთა სულით იხსენებს, აწმყოსაც კეთილსინდისიერად ატარებს და მომავალს იმედით შეჰყურებს.

მამა ბასილ, სწორედ თქვენ მოგესადაგებათ ყოველივე ზემოთ თქმული. „თითოეული ადამიანის საკუთარი საქმეებით უნდა ადასტურებდეს თავის წოდებას“ (ბასილი დიდი, წესი 29).

გადმოცემით ვიცით, რომ საერო ცხოვრება საზოგადოებისა და ქვეყნის სასარგებლო შრომით განვლეთ, ხოლო რაც შეეხება თქვენ გვერდით ჩვენს ყოფნას, რომელიც არც თუ ისე მცირე, არამედ საკმაო დროს (27 წელი) ითვლის, რის საფუძველზეც შეძლებისდაგვარად აღვწერთ თქვენ მოღვაწეობას სასულიერო, თუ აღმშენებლობით სფეროში, რომელიც უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო იქნება ახალგაზრდა თაობისთვის თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი, რამეთუ „თითოეული ქრისტიანი საკუთარი შეძლებისამებრ სხვებისთვის სათნოების მაგალითს უნდა წარმოადგენდეს“ (ბასილი დიდი).

თქვენ ღირსეულად აგრძელებთ წინაპართა განვლილ გზას ერის ტრადიციებისა და სარწმუნოების დაცვის საქმეში და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებთ იმ მამულიშვილთა გვერდით, რომელთაც სისხლით წერეს საქართველოს ისტორია. რომ არა ღმრთის მადლი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შემწეობა, შეუძლებელია ერთ ადამიანს ეწვნია ამდენი გვემა, დევნილობა და ზეწოლა საზღვარგარეთელ ანტიმართლმადიდებელთაგან თუ უგუნური ერის მოღალატე ქართველთაგან. ბევრჯერ სცადეს თქვენი ლიკვიდაცია და იმ გზიდან ჩამოშორება, რომელიც განვლეს ზვარაკად შეწირულმა წინაპრებმა, რათა მაგალითი ეჩვენებინათ მომდევნო თაობისათვის, რის მეოხებითაც დღემდე მიაღწია ერის ტრადიციამ, იდენტობამ, მენტალიტეტმა. „უფალთან სიახლოვე ღვთის ნების გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება“ (ბასილი დიდი).

ქართველ მოღალატეთა მიზანი იყო აქ დასმულიყო დიდი წერტილი სარწმუნოების, ეროვნულობისა, ყოველგვარი ქართულისა, მაგრამ ეს უფალმა არ ინება და თითზე ჩამოსათვლელ ქართველებთან ერთად აგრძელებთ ქრისტეს მცნებების აღსრულებას, ეკლიან, ჭეშმარიტ გზას და იცავთ ოცსაუკუნოვან დავითის, თამარის, ვაჟას, ილიას და სხვათა სარწმუნოებას.

თქვენ საპყრობილესაც არ შეუშინდით, მისი პირქუში კედლებიდანაც ამხელდით მართლმადიდებლობის მტრებს, სოროსის ლეკვებს სააკაშვილის და ბოკერიას მეთაურობით.

ჩვენ, გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მრავალრიცხოვან მრევლს, თქვენ გვაძლევთ შრომის, ზნეობის, აღმშენებლობის, ურთიერთსიყვარულის, გულისხმიერების, სარწმუნოების დაცვისთვის თავგანწირვის მაგალითს.

„რწმენაში მტკიცედ უნდა იდგე, შეურყევლად, არ დაკარგო მოპოვებული მადლი“ (ბასილი დიდი, წესი 39).

ამოუწურავია თქვენი დამსახურება ერის წინაშე, საქმემან შენმან გამოგაჩინოს და სწორედ თქვენი შრომის ნაყოფი ხელის გულზე უდევს საქართველოს აშენებული ეკლესიების სახით. თქვენ სარწმუნოების ქვაკუთხედად დადეთ გლდანის ა/მში გრანდიოზული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძარი, სულიერი სავანე, რომელიც საუკუნეებით იღაღადებს.

მოშურნენი სდუმან, ხოლო აღსრულებული საქმენი ღაღადებენ.

თქვენი თავდადებული, უანგარო ერთგულება უფლის მცნებების მიმართ გამოძახილია ღმრთისმშობლის მეოხებისა. ყოვლადწმიდა დედის მადლიანი კალთა გმფარველობთ ყოველგვარი საქმიანობის განხორციელებაში. სწორედ ამიტომ გრძნობთ თქვენ უდიდეს პასუხისმგებლობას მშობლიურ სოფელში (ნახშირგორში) თქვენივე ხელით აღდგენილ ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი, ახლად აშენებულ წმიდა გიორგის სალოცავის მიმართ. როგორც მადლიერი, ერთგული შვილი სისტემატიურად მიეახლებით ყოვლადწმიდა დედას, დიდმოწამე გიორგის და თქვენი ხავერდოვანი ხმით, გალობით ქებას და დიდებას ასხამთ.

მამა ბასილ, გილოცავთ შობა-ახალ 2021 წელს, გილოცავთ უდიდესი მამის ბასილი დიდის ხსენების დღეს, გილოცავთ თქვენი დაბადების 75 წლისთავს!

დაე, ეს წელი ყოფილიყოს თქვენი ოცნების, საქართველოს გაერთიანების, ეკლესიის განწმედის და მართლმადიდებლობის ზეობის წელი. ვიცით, მხოლოდ ეს მოგანიჭებთ თქვენ უდიდეს სიამოვნებას, შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავთ.

ჩვენ, თქვენი მრავალრიცხოვანი მრევლი სულიერი შვილების სახით, მამაო ბასილ, როგორც ერთი, ერთსულოვნად გვიგულეთ თქვენს გვერდით, ყოველგვარი ჭირი და ლხინი თქვენთან ერთად გავიზიაროთ. ვიაროთ, ვიღვაწოთ თქვენი ბრძნული რჩევების მიხედვით.

გვრწმენა, რომ: „საღმრთო მცნებებით ცხოვრების ბოლო – მარადიული სიცოცხლეა“ (ბასილი დიდი).

მამა ბასილ, იყავით ჯანმრთელი, დღეგრძელი თქვენ ერთგულ ოჯახთან ერთად!

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი
მამა ვახტანგი (მარგიანი),
მრავალრიცხოვანი მრევლი

საპატრულო პოლიციამ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ფონიჭალაში არასრულწლოვანი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული ი.ჯ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა არასრულწლოვანი, ფონიჭალის დასახლებაში იმ დროს შეაჩერა, როდესაც მას 13 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „სირეცი“ გადაჰქონდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გერმანიაში შესვლის წესები 14 იანვრიდან მკაცრდება

გერმანია, კორონავირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 14 იანვრიდან ქვეყანაში შესვლის წესებს ამკაცრებს.

კერძოდ, ნებისმიერ პირს, რომელიც ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის რომელიმე ქვეყნიდან შედის, გერმანიაში შესვლიდან არაუგვიანეს 48 საათში, მოუწევს დაამტკიცოს, რომ კორონავირუსით დაინფიცირებული არ არის.

პანდემიით ყველაზე მეტად დაზარალებული ქვეყნებიდან, მათ შორის გაერთიანებული სამეფოდან და სამხრეთ აფრიკიდან, შესვლის მსურველებმა კი, კორონავირუსზე ჩატარებული ტესტის ნეგატიური პასუხის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენს, მას კარანტინში ყოფნა 5 დღის განმავლობაში მოუწევს, სხვა შემთხვევაში კი, სავალდებულო კარანტინის ვადა 10 დღეა.

– საზღვარგარეთ, რისშემთხვევაში, თუ გერმანიაში შესვლისას მოქალაქე კორონავირუსზე ჩატარებული ტესტის ნეგატიური პასუხის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენს, მას კარანტინში ყოფნა 5 დღის განმავლობაში მოუწევს, სხვა შემთხვევაში კი, სავალდებულო კარანტინის ვადა 10 დღეა.

– საზღვარგარეთ, რისკის ზონებში მოგზაურობა პანდემიისგან შექმნილ სიტუაციას არ შეესაბამება. ვირუსის მუტაციები დამატებითი საშიშროებაა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. გერმანიაში მათი გავრცელება მაქსიმალურად უნდა ავიცილოთ თავიდან, – განაცხადა გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა.

ესტონეთის პრემიერი რატასი გადადგა

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა იური რატასმა 13 იანვარს გადადგომის შესახებ განაცხადა.

იური რატასის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ესტონეთის პროკურატურის 12 იანვრის განცხადება იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრის პარტიის 5 წევრი, მათ შორის გენერალური მდივანი მიხაი კორბი, კორუფციის საქმეში იყო გარეული.

საქმე ეხება ტალინში დაგეგმილ სამშენებლო პროექტს. გამოძიების თანახმად, კორბმა ესტონელ ბიზნესმენს, ჰილარ ტედერს, სამშენებლო პროექტის დასაფინანსებლად სახელმწიფო სააგენტოდან, კრედექსიდან, 39 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფის სანაცვლოდ პარტიის წელიწადში 1 მილიონი ევროთი დაფინანსება სთხოვა.

იური რატასს ესტონეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 2016 წლიდან ეკავა.

ალექსეი ნავალნი რუსეთში 17 იანვარს დაბრუნდება

რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი რუსეთში დაბრუნებას 17 იანვარს გეგმავს.

ამის შესახებ ნავალნიმ ტელეგრამსა და ტვიტერში 13 იანვარს დაწერა.

„საკითხი: დავბრუნდე თუ არ დავბრუნდე, ჩემ წინაშე არასოდეს დამდგარა, უბრალოდ იმიტომ, რომ არასდროს წავსულვარ. მე აღმოვჩნდი გერმანიაში, რეანიმაციულ განყოფილებაში. 17 იანვარს, კვირას, შინ ვბრუნდები. დამხვდით“ – წერს ნავალნი.

შეგახსენებთ, ალექსეი ნავალნი ბერლინის კლინიკაში სამკურნალოდ 2020 წლის აგვისტოს, ნერვული აგენტით მოწამვლის შემდეგ გადაიყვანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბეჰემოთები ნიანგებს ძროხის გამო დაუპირისპირდნენ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის ზონა კრუკს-კორნერში, რომელიც სამხრეთ აფრიკის, მოზამბიკისა და ზიმბაბვეს საზღვარზე მდებარეობს, ბეგებთან ერთად ეროვნულ პარკში იმყოფებოდა.

– ჩვენ ძროხების ნახირი შევნიშნეთ, რომელიც ქვიშიან ნაპირზე მდინარისკენ წყლის დასალევად მიემართებოდა. ზოგიერთ მათგანს კისერზე ზანზალაკი ჰქონდა ჩამოკიდებული. მათმა ხმამ ნიანგების ყურადღება მიიპყრო და ისინი მაშინვე მათკენ გაცურდნენ, – იხსენებს ბიიონი.

როგორც კი წყალში საფრთხე შენიშნეს, ძროხებმა უკან დაიხიეს, მოგვიანებით მისული ძროხა კი პირდაპირ მდინარისკენ გაემართა და წყლის სმას შეუდგა. რამდენიმე წამში მას თავს ნიანგი დაესხა და წყლის სიღრმეში ჩაითრია. იმწამსვე მტაცებელს სხვა ნიანგებიც შეუერთდნენ.

– შემდეგ საქმეში ბეჰემოთები ჩაერთვნენ. ჩვენ არ ვიცით, რატომ მიიპყრო მათი ყურადღება ძროხამ, თუმცა ისინი რეპტილიებისთვის მის წართმევას შეეცადნენ. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ისინი ნიანგების ნადავლს კბენდნენ. ვერ მივხვდით, ბეჰემოთებს ძროხის შეჭმა სურდათ თუ დახმარება, – ხაზგასმით აღნიშნა ვიდეოს ავტორმა.

ბეჰემოთებმა ნიანგებს მათი ნადავლი ძროხა წაართვეს. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ლინ ვან ბიიონი კოლეგა ჰქონდა ჩამოკიდებული. მათმა ხმამ ნიანგების ყურადღება მიიპყრო და ისინი მაშინვე მათკენ გაცურდნენ, – იხსენებს ბიიონი.

როგორც კი წყალში საფრთხე შენიშნეს, ძროხებმა უკან

გარდა ამისა, ბიიონმა და მისმა კოლეგებმა მალე წყლიდან ამომხტარი თევზებიც შენიშნეს. თავის მხრივ კი თევზებით აფრიკული თევზებზე მონადირე არწივები დაინტერესდნენ და მათ სამი მათგანის დაჭერა მოახერხეს.

ახალ ზელანდიაში ზვიგენმა ადამიანი იმსხვერპლა

ახალ ზელანდიაში ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ადამიანი პირველად დაიღუპა ზვიგენის თავდასხმის შედეგად.

ინციდენტი ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულზე, ქალაქ ვაიხის პლაჟზე მოხდა. მტაცებელი თევზის თავდასხმის შედეგად 19 წლის კეილა მარლოუმ ფეხის ტრავმა მიიღო. ის წყლიდან ამოიყვანეს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმების მისვლამდე გარდაიცვალა.

თვითმხილველის თქმით, ზვიგენი გოგონას თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის ნაპირიდან მოშორებით, ტივტივების მახლობლად ცურავდა. მაშველები გასაბერი ნავით დაუყოვნებლივ მიცურდნენ მის დასახმარებლად. ადგილზე მისული ექიმები 20 წუთის განმავლობაში ცდილობდნენ გოგონას რეანიმირებას, თუმცა მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

ერთ-ერთი თვითმხილველის მტკიცებით, გოგონას დაღუპვაში ბრალი დიდ თეთრ ზვიგენს მიუძღვის. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელად ახალ ზელანდიაში დიდი თეთრი ზვიგენის თავდასხმის შედეგად ადამიანი 2013 წელს დაიღუპა. მაშინ მტაცებელი თევზის მსხვერპლი 46 წლის კინორეჟისორი ადამ სტრენჯი გახდა.

მაიკო ლომიძემ ნინო ანანიაშვილის პუანტები ნაგავში გადაყარა

ჟურნალისტმა მაიკო ლომიძემ საქველმოქმედო აუქციონზე შეძენილი ქართველი ბალერინა ნინო ანანიაშვილის პუანტები ნაგვის ურნაში ჩაყარა:

– რამდენიმე წლის წინ ჩემმა მეგობრებმა საქველმოქმედო აუქციონი მოაწყვეს. ნინო ანანიაშვილს ვთხოვეთ, რაიმე ნივთი შემოეწირა. მართლაც გადმოგვცა თავისი პუანტები, რომელშიც 1998 წელს უცეკვია.

ერთი ბიჭი გამომყვა კაი ხანს ვაჭრობაში, მაგრამ არ დავუთმე და ყველაზე ძვირფასი ლოტი მე დამრჩა. მას შემდეგ კარადაში ვინახავდი, მათ გამოსაფენად შესაბამისი თარო, ნიშა, დისპლეი აქამდე ვერ მოვიფიქრე. ახლა მივხვდი, სადაა მათი ადგილი...

ო, როგორ დამენანა!

პუანტებიც, ცხადია, მაგრამ უფრო მეტად ბრწყინვალე კარიერის ასეთი სამარცხვინო დასასრული.

რუსეთი ოკუპანტია!

ყველა კოლაბორაციონისტი – ნონ გრატა!

ხოლო ზოგიერთი – პრიმა ნონ გრატა!

გიორგი ლობჟანიძე: „ასწავლეთ შვილებს პატარა რაღაცებით გახარება!“

პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე გვთხოვს ვასწავლოთ შვილებს პატარა რაღაცით გახარება:

– ასწავლეთ შვილებს პატარა რაღაცებით გახარება! ნუ გაზრდით ეგოისტებად, თითქოს მთელი ქვეყანა ვალში იყოს მათ წინაშე! იყვნენ ისეთები, როგორც ბავშვობაში, წითელ ბოტებს რომ ვინმე გვიყიდდა და გვიხაროდა!

ვინმემ მორალისტობა რომ არ დამწამოს, პირველ რიგში ჩემ თავს ვგულისხმობ!

ნოქალაქევში სამუზეუმო სივრცის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა



ნოქალაქევის არქიტექტურული კომპლექსის მიმდებარედ დასრულდა ახალი სამუზეუმო სივრცის მშენებლობის პირველი ფაზა, რომელიც შენობის კონსტრუქციის აგებას ითვალისწინებდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის სამომავლო განვითარება მომავალშიც გაგრძელდება და სივრცის ინფრასტრუქტურულ მოწყობას მოიცავს.

წელსვე მომზადდება ნოქალაქევის არქიტექტურული მუზეუმის მუზეუმოგრაფიის პროექტი, რომელშიც საპროექტო ჯგუფის ექსპერტები, უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციების გზით, თანამედროვე სამუზეუმო მოწყობის უახლეს ტენდენციებს გაითვალისწინებენ. ახალი, რეგიონული მნიშვნელობის მუზეუმის მშენებლობის დასრულება 2022 წელსაა დაგეგმილი. მასში უმთავრესად ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები და არქეოლოგიური ობიექტები ექსპონირდება. ჯამურად 1600 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე მუზეუმი ადმინისტრაციულ სივრცესთან, ფონდსაცავებთან და მულტიმედიურად გაფორმებულ ვიზიტორთა ცენტრთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ფუნქციასაც შეითავსებს, რომელიც სამომავლოდ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური მისიებისთვის მძლავრ კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდება. ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვისა და ამოქმედების პროცესს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იაპონიის პარტნიორი სამეცნიერო ინსტიტუციის – ტეიკიოს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე წარმართავს.

მომავალი წლიდან ნოქალაქევის მუზეუმის ბაზაზე ამოქმედდება კვლევითი-არქეოლოგიური ბაზაც, რომელიც ყოველწლიურად საერთაშორისო ექსპედიციებს უმასპინძლებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მძარცველებმა ათიათასობით ევროს ღვინო მოიპარეს

აღმოსავლეთ საფრანგეთის სონასა და ლუარას დეპარტამენტში მსხვილი ძარცვა მოხდა, უცნობმა პირებმა დაწესებულება Relais Chateau-ს მარნიდან ასეულობით ბოთლი ღვინო გაიტანეს და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ.

აღსანიშნავია, რომ ინციდენტი სამშაბათს, 5 იანვარს მოხდა. წინასწარი მონაცემებით, ზარალმა დაახლოებით 350 ათასი ევრო შეადგინა. ალკოჰოლური სასმელების ქურდებს პოლიცია ეძებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებასთან მივიდა მანქანა, საიდანაც რამდენიმე ადამიანი გადმოვიდა. ისინი მიადგნენ Relais Chateau-ს შენობას, გატეხეს კარის საკეტი და დიდი ოდენობით ძვირადღირებული ალკოჰოლური სასმელი გამოიტანეს. შენობაში სიგნალიზაცია ამუშავდა და მისმა პატრონმა მძარცველების დანახვაზე პოლიციაში დარეკა, თავად კი ბოროტმოქმედებს გაეკიდა და მათი დაწევა ცადა.

მძარცველები სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში და მიმალვა დააპირეს. დევნის დროს ისინი პოლიციის ავტომობილებს მათგან თავის დასაღწევად ბოთლებს ესროდნენ. მოგვიანებით მათი ავტომობილი ძვირფასი ტვირთით ქალაქ ლიონის მახლობლად აღმოაჩინეს.

მორიგი საიდუმლოებით მოცული მონოლითი ტორონტოში გამოჩნდა

მორიგი საიდუმლოებით მოცული მონოლითი კანადის ქალაქ ტორონტოში გამოჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით 3,5 მეტრი სიმაღლის ობიექტი ტბა ონტარიოს შორიახლოს ხუთშაბათ დილით გაჩნდა. თავისი სტრუქტურით ის პლანეტის სხვა ადგილებში ადრე ნანახ მონოლითებს წააგავს, კერძოდ, ამერიკის იუტას შტატში მდებარე უდაბნოში ნანახს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ისინი მასში საზოგადოებისთვის საფრთხეს ვერ ხედავენ, ამიტომ იმავე ადგილზე დარჩება. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ უცნობმა ვანდალებმა მონოლითს საღებავები შეასხეს.

ღამით ტუალეტში შესული ქალი უნიტაზზე მჯდომ ქურდს გადააწყდა

გერმანიის ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მხარის კომუნა ვინდეკის მცხოვრები ქალი ღამით საკუთარ ტუალეტში ქურდს გადააწყდა. სახლის 36 წლის დიასახლისი, სახელად ოლესია, ადგილობრივი დროით დაახლოებით 5:45 საათზე საწოლიდან წამოდგა და ტუალეტში წავიდა. მან კარი გააღო და დაინახა, რომ უნიტაზზე უცნობი მამაკაცი იჯდა და ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. სახლის პატრონის დანახვაზე შეშინებული მამაკაცი წამოხტა, სასწრაფოდ შეიკრა შარვალი, ნაქურდალით სავსე ზურგჩანთას ხელი დასტაცა და გაიქცა. მისი ნადავლი გახდა ფული, სამი ნოუთბუქი, სმარტფონი და სხვა ნივთები. ქალი იმდენად იყო გაოგნებული, რომ საშველად მეუღლის მოხმობაც კი ვერ მოასწრო. როგორც კი ოლესია გონს მოეგო, მეუღლე გააღვიძა და ცოლ-ქმარმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქურდი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. პოლიციამ ჩრდილოაფრიკული გარეგნობის მამაკაცზე ძებნა გამოაცხადა. ის დაახლოებით 25-დან 35 წლამდე ასაკისაა, 1,7 მეტრი სიმაღლის. დანაშაულის ჩადენის დროს მას ადიდასის სპორტული შარვალი ეცვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსთავმა ქუთაისს მოუგო და დაკარგული ქულებით დაეწია

რუსთავი-ქუთაისი 93:83
(27:24, 31:17, 14:21, 21:21)

რუსთავში ისეთი მნიშვნელობის მატჩი გაიმართა, რომელიც ფაქტობრივად სუპერლიგის პირველი წრის გამარჯვებულს არკვევდა. რუსთავისა და ქუთაისის მატჩი გასული წლის 6 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ კოვიდრეგულაციების გამო გადაიდო. ისე მოხდა, რომ ქუთაისმა წაუგებლად გალია პირველი წრის 9 შეხვედრა და რუსთავშიც რომ მოეგო, ერთპიროვნული ლიდერი შეიქნებოდა. რუსთაველებს კი ხსენებული მიზეზით პირველ წრეში 2 მატჩი გადაედოთ, დანარჩენი 8 შეხვედრიდან კი, 7 მოიგეს.

სუპერლიგის ლიდერთა შეხვედრა მოლოდინისამებრ დაძაბული ვერ გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, გასული სადღესასწაულო დღეები უფრო სარგებლიანად რუსთაველებმა გამოიყენეს, რომლებიც მატჩს უკეთ მომზადებულები შეხვდნენ.

მასპინძლებმა პრინციპული მეტოქე დამაჯერებლად – 93:83 დაამარცხეს. ქუთაისელები მხოლოდ მატჩის დებიუტში, თითო-ოროლა ქულით იგებდნენ, რის შემდეგაც ქვემოქართლელებმა უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქისთვის წარმატების შანსი არ მიუციათ. პირველი პერიოდი შედარებით თანაბარი გამოდგა და რუსთავის 3-ქულიანი გამარჯვებით – 27:24 დასრულდა. მეორე მეოთხედი გარდამტეხი გამოდგა. მასპინძლებმა პერიოდი 14 ქულით – 31:17 მოიგეს და დიდ შესვენებაზე დამაჯერებელი ჰანდიკაპით გავიდნენ – 58:41.

რუსთაველთა წარმატების მიზეზი მათი მწყობრი დაცვა და შედეგიანი შეტევა გახლდათ. როგორც უკანახაზელები – მალიქ უაითი, მაიკ დევისი, ისე წინახაზელები – გეგი ბაქრაძე, გიორგი თვალაბეიშვილი, ჯალინ ვაშინგტონი და გუგა პატაშური უბადლოდ ირჯებოდნენ. ამ მოთამაშეებს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ, რაც თავისთავად ქუთაისელებს პრობლემებს უქმნიდა, რასაც კოტე ტუღუშის გაწვრთნილი გუნდი ვერ უმკლავდებოდა.

ქუთაისი, რომელმაც სუპერლიგის აქამდე გამართული ცხრავე შეხვედრა მოიგო, იოლად რომ არ დანებდებოდა, ცხადი იყო, მაგრამ მოგების რესურსი არ ჩანდა. მესამე პერიოდში იმერულმა კლუბმა ჩამორჩენა 7 ქულით შეამცირა და ბოლო მეოთხედის წინ 10 ქულით აგებდა. დეუან რაითი უკანა ხაზიდან, ფარქვეშიდან კი აკაკი დვალიშვილი აქტიურობდა და სტუმრებმა შეხვედრის დასრულებამდე ექვსიოდე წუთით ადრე ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირეს.

რუსთაველთა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, რამაც გაუმართლა. მოედანზე დაბრუნებული მასპინძლები თავდაპირველი მონდომებით ათამაშდნენ და დაცვაში გამოჩენილი სიმტკიცისა და შედეგიანი შეტევების შემდეგ თამაშის ბედი საბოლოოდ გაარკვიეს. გადამწყვეტ ეპიზოდში გამოსარჩევია ჯილან ვაშინგტონისა და გიორგი თვალაბეიშვილის შედეგიანობა, რომელთა ქულებსაც რუსთაველთა სოლიდური დაწინაურება და მასპინძელთა საბოლოო გამარჯვება მოჰყვა.

გამარჯვებულთაგან ყველამ გამორჩეულად ითამაშა, სტატისტიკის მხრივ კი საუკეთესო ვაშინგტონი იყო – 23 ქულა, 7 მოხსნა. 19 ქულა და 10 პასი მალიქ უაიტმა მიითვალა, მაიკ დევისის ანგარიშზე კი 10 ქულა, 11 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა. ვახტანგ გაფრინდაშვილი გამარჯვებულებს 11 ქულით დაეხმარა, თვალაბეიშვილმა კი შეხვედრა 10 ქულით დაასრულა.

მგზავრები-დინამო 75:86
(11:21, 18:27, 24:17, 22:21)

მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილმა დინამომ უშუალო კონკურენტი მგზავრები დამაჯერებლად, 86:75 დაამარცხა.

მგზავრებს დინამოელებზე ერთიით ნაკლები მოგება ჰქონდა მოპოვებული და გამარჯვების შემთხვევაში ცხრილში უთანაბრდებოდა, მაგრამ ეს მისია შეუსრულებელი დარჩა.

დინამოელებმა გამართულად, კალათბურთის ძირითადი სათამაშო კომპონენტების შესრულებითა და დისციპლინის დაცვით ითამაშეს. შესაბამისად, მათ თამაშის განმავლობაში არც გასჭირვებიათ. დინამომ პირველი პერიოდი 21:11 მოიგო, მეორე პერიოდში აღებული ტემპი შეინარჩუნა და დიდ შესვენებაზე 19-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

მე-2 ტაიმში მგზავრებმა თამაში კი გამოასწორეს, მაგრამ იმხელა უპირატესობა ვერ მოიპოვეს, რომ ზემოხსენებული სოლიდური ჩამორჩენა გაებათილებინათ. თამაში მცირედით ერთადერთხელ დაიძაბა, როცა ბოლო პერიოდის შუაწელში ანგარიშში სხვაობა 10 ქულამდე შემცირდა (73:63). დინამოელთა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, შესაბამისი დავალებები გასცა და თამაში თავისი გუნდისთვის კომფორტულ კალაპოტს დაუბრუნა.

საბოლოოდ დინამომ აუცილებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და ბოლომდე მიმდინარე სეზონში მე-4 გამარჯვება გაიფორმა. 24 ქულითა და 14 ქულით დინამოელებს ბარეტ ჯონსონმა ულიდერა. 21 ქულა და 5 პასი ლუკა ბულაშვილმა მიითვალა, ალონზო უოკერის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. მგზავრებში 15 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო შედეგი ტეილორ ედვეიმ დააფიქსირა. 18 ქულა ჯეიდონ კოჰმა, ხოლო 16 – ტროი სტიუარტმა მიითვალა.

კიდევ 2 გადადებული მატჩი და პირველი წრე დასრულდება. რუსთავი თბილისში, მგზავრებს ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში პირველ წრეს პირველ ადგილზე დაასრულებს. გაიმართება ბოლო გადადებული შეხვედრაც კაკტუსსა და დინამოს შორის, რითაც პირველი წრე დასრულდება და 18 იანვრიდან ასპარეზი ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალურ ტურნირს დაეთმობა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	10	9	1	974-831	19
2.რუსთავი	9	8	1	780-674	17
3.თსუ	10	7	3	862-841	17
4.ცხუმი	10	6	4	819-748	16
5.ოლიმპი	10	4	6	758-801	14
6.ტიტები	10	4	6	808-826	14
7.ბათუმი	10	3	7	843-927	13
8.დინამო	9	4	5	806-821	13
9.ვერა	10	3	7	745-818	13
10.კაკტუსი	9	3	6	652-721	12
11.მგზავრები	9	2	7	710-749	11

ახალი სეზონისთვის ლოკომოტივი და თელავიც ემზადებიან

თბილისის ლოკომოტივი ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი თბილისში შეიკრიბა და სავარჯიშო პროცესი თითქმის ერთი კვირაა დაიწყო. საგურამოს ბაზის მინდვრების რეაბილიტაციის გამო, გუნდი დროებით თბილისის ზღვაზე მდებარე საფეხბურთო ბაზაზე ივარჯიშებს. თბილისური შეკრება 31 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება და სავარჯიშო პროცესის პარალელურად, ლოკო 3 ამხანაგურ მატჩსაც გამართავს: ჯერ მეორელიგელ გარეჯთან, შემდეგ ეროვნული ლიგის გუნდებთან – საბურთალო და ბათუმის დინამო.

2 თებერვალს, გუნდი თურქეთში, ბელეკში გაემგზავრება, სადაც 2-კვირიანი შეკრებაა დაგეგმილი. თურქული შეკრებაზე, ლოკომოტივი 5 საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს. მეტოქეები პოსტსაბჭოთა სივრციდან ჰყავს: შახტარი (უკრაინა), დესნა (უკრაინა), როტორი (რუსეთი), უფა (რუსეთი) და ჟოდინო (ბელარუსი).

ლოკო თბილისში 17 თებერვალს დაბრუნდება და ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ დღეებს, კვლავ მოსამზადებლად გამოიყენებს.

ახალი სეზონისთვის მზადება და იწყო თელავმაც. კახურ გუნდს 7 ახალი ფეხბურთელი ჰყავს. ვაჟა ფაცაცია ბათუმის დინამოდან გადაიბირეს, იმედა აშორტია – ქობულეთის შუქურადან, ცოტნე კაპანაძე და შოთა შეყილაძე ლოკომოტივიდან, ხოლო ზურაბ თევზაძე, ბექა გაბისკირია და გიორგი ხაბულიანი გასულ სეზონში თბილისის მერანში ირჯებოდნენ. თელაველებს დანაკლისიც ბლომად აქვთ: 2020 წლის სეზონის შემდეგ გუნდი დატოვეს გრიგოლ ჩაბრაძემ, ვლადისლავ კრაევმა, რაფაელ ჩუკვურამ, ანტონ თოლორდავამ, ალექსანდე კოშკაძემ, ცოტნე მოსიაშვილმა, გურამ სამუშიამ, ჰოვჰანეს პოღოსიანმა და გიორგი მოისწრაფიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თელავი ეროვნულ ლიგაში პირველად 2020 წელს გადავიდა და სადებიუტო სეზონში სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიცია დაიკავა.

არაბიძე რუსეთშია, გუგეშაშვილი იაგელონიას დაუბრუნდა

ორმა ქართველმა ფეხბურთელმა უცხოური კარიერა განაახლა. 22 წლის შემტევი ნახევარმცველი გიორგი არაბიძე პორტუგალიური ნასიონალის საკუთრებაა, მაგრამ წელიწადზე მეტია მინდორზე არ გამოჩენილა. ჩვენებური ვოლგოგრადის როტორში იჯარით ითამაშებს.

არაბიძის პორტუგალიიდან რუსეთში გადასვლა ქართველი მენეჯერის, მამუკა ჯუღელის დამსახურებაა, რომელმაც ამ ტრანსფერის განხორციელება შეძლო. იმედია, არაბიძეს თამაშიც შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ მას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია და 3 გოლიც აქვს გატანილი. ბოლოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ როტორში საბა კვირკველია, ზურიკო დავითაშვილი და ბექა მიქელთაძე თამაშობენ.

21 წლის ლუკა გუგეშაშვილი პოლონურმა იაგელონიამ თურქულ შეკრებაზე წაიყვანა. ქართველი მეკარე პოლონური კლუბის საკუთრებაა, მაგრამ გასული სეზონი იჯარით გორის დილაში გაატარა და დიდი წვლილიც შეიტანა იმაში, რომ ქართლელებმა ევროასპარეზზე თამაშის პატივი ირგუნეს.

დასრულდა იჯარა და გუგეშაშვილი დაუბრუნდა იაგელონიას, რომელმაც თურქული შეკრება დაიწყო. ამ შეკრებაზე პოლონური გუნდი 4 მეკარით გაეგზავრა და ჩვენებურს ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი შრომა მოუწევს.

ამ დროისთვის იაგელონია პოლონეთის ჩემპიონატში მე-7 ადგილზეა.

ლაშა ჯაიანი ინგლისის ისტორიულ გუნდში ითამაშებს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მეორეხაზელი ლაშა ჯაიანი კარიერას ინგლისის პრემიერშიფის უოსპსში გააგრძელებს.

უოსპსი ერთ-ერთ უძველესი კლუბია და 153 წლის წინ დაარსდა. გუნდი 6-ჯერ გახდა პრემიერშიფის გამარჯვებული და ასევე 6-ჯერ დაიკავა მე-2 ადგილი, მათ შორის გასულ სეზონში. არის ჩემპიონთა თასის 2-გზის და ჩელენჯ ქაფის გამარჯვებულია.

„ბზიკების“ ახალგაზრდული გუნდი საქართველოშიცაა ნამყოფი და უმცროს „ბორჯღალოსნებთან“ ამხანაგური თამაშები გამართა. 2018 წლიდან მის ღირსებას იცავს ბორჯღალოსანი ზურაბ ჟვანია, და ახლა უკვე 22 წლის ლაშა ჯაიანიც.

ლაშა ჯაიანი:

– ბედნიერი ვარ, ასეთი ისტორიის მქონე, ტიტულოვანი და მაღალი კლასის გუნდის წევრი რომ გავხდი. კოვიდპანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, გუნდმა ძალიან კარგი პირობები შემომთავაზა და ესეც რომ არა, ასეთი გუნდის შეთავაზებაზე უარის თქმა ყველა მორაგბეს გაუჭირდებოდა. ასეთ შანსს არ ველოდი და გახარებული ვარ, რადგან უოსპსში თამაში პროფესიულ კარიერაში ერთი საფეხურით წინ წასვლის საშუალებას მომცემს. ვეცდები, გუნდში ადგილი დავიმკვიდრო და ამისთვის თავს არ დავზოგავ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. ცოცხლადმშობი თევზი; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. რაიონული ცენტრი კახეთში; 15. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 20. ძილის მომგვრელი საშუალება.

თარაზულად: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. გერმანული ლუდი; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულება; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. შენიშვნა, განმარტების ტექსტში; 18. საერთაშორისო, სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 21. პოპულარული ნიდერლანდური ყველი; 22. ზღვაში შეჭრილი ხმელეთის ვიწრო ზოლი; 23. სატრფოსადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი სალონურ პოეზიაში; 24. დეკორაციული ფერწერა, რომელშიც გამოყენებულია მხოლოდ ორი ფერი – ღია და მუქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

გრიგალაშვილი მასტერსის ჩემპიონია

დოჰაში მიმდინარე ძიუდოს მასტერსის მეორე დღე საქართველოს დელეგაციისთვის უკეთესი გამოდგა. ტატო გრიგალაშვილმა გრიგალივით გადაუარა ყველა მეტოქეს და ოქროს მედალი ირგუნა.

81 კილოში მოჭიდავე ჩვენიანმა პირველ წრეში უნგრელი ატილა უნგვარი დაამარცხა, ხოლო შემდეგ იტალიელი ანტონიო ესპოზიტოს რამდენიმე წამში ბრწყინვალე იპონით მოუგო. მეოთხედფინალში ჩვენებურის მსხვერპლი რუსი ალან ხუბეცოვი გამოდგა და ტატო ნახევარფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ უკვე კორეელი სუნგ ჰო ლი ჰყავდა. გრიგალაშვილმა ჯერ ვაზარზე დასცა აზიელი, შემდეგ კი იპონზე დაიჭირა და მედალი გაინაღდა.

ფინალში მისი მეტოქე ნიდერლანდელი ფრანკ დე ვიტი იყო. ტატო მთელი შეხვედრის მანძილზე აქტიური იყო, ერთი ვაზარი ვიდეოგამეორების შემდეგ გაუუქმეს, მაგრამ ძირითადი დროის ამოწურვამდე 25 წამით ადრე ნიდერლანდელი ისევ ვაზარზე დასცა და იქვე მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა.

21 წლის ტატო გრიგალაშვილმა 2020 წლის 21 თებერვლიდან 2021 წლის 12 იანვრამდე 21 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო. ამასთან, ზედიზედ 4 დიდი შეჯიბრება დაასრულა ტრიუმფით – დიუსელდორფის გრანდ სლემი, ევროპის ჩემპიონატი 23 წლამდელებს შორის, ევროპის ჩემპიონატი დიდებში და უკვე ყატარის მასტერსიც.

ტატამზე გავიდნენ ლაშა შავდათუაშვილი (73) და ლუკა მაისურაძე (81), მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდნენ და ასპარეზობას გამოეთიშნენ. შავდათუაშვილმა ისრაელის წარმომადგენელ ტოხარ ბუტბულთან წააგო, ხოლო მაისურაძემ – მონღოლ საიედ მოლაესთან.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ხენდრო; 5. შინშილა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. ჰაინიკენი; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბრაილი; 10. ხოტი; 11. სუფრული; 13. თეთრა; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. შანხაი; 20. ტარიელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დომკრატი; 2. თრთვილი; 3. აბული; 4. დარბაზი; 5. ალიგოტე; 10. ჩოქბჯენი; 11. რეტროგრადი; 12. ისტვუდი; 15. ტრიპლექსი; 16. აგუერო; 17. ჩამპინო; 20. კიურე.

თარაზულად: 6. ტოლერანტობა; 7. ბაზალტი; 8. არიფანა; 9. ხახული; 13. წეკო; 14. ჰენესი; 18. კვირინალე; 19. ქართუ; 21. ხიხვი; 22. ტოშიბა; 23. პორტვეინი; 24. შპინდელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3012	ევრო — 4.0156
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4546	100 რუსული რუბლი — 4.4251

ამინდის პროგნოზი 14 იანვრისათვის

ნოვოსიბირსკის თეატრმა ნინო ანანიაშვილთან დადებული კონტრაქტი გააუქმა

ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ქართველ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილთან დადებული კონტრაქტი გააუქმა. კონტრაქტის მიხედვით, ქართველ ბალერინას თეატრის საბალეტო დასისთვის უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ მოცეკვავის მიერ ინფორმაციის წინასწარ გამჟღავნებამ თეატრის ხელმძღვანელობა გაანაწყენა. ნოვოსიბირსკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვლადიმერ კეხმანისა და ნინო ანანიაშვილის ერთობლივი გადაწყვეტილებით, მათ შორის დადებული კონტრაქტი გაუქმებულია.

– ნოვოსიბირსკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვლადიმერ კეხმანისა და ნინო ანანიაშვილის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ადრე დადებული ხელშეკრულება გაუქმებულია, – ნათქვამია ნოვოსიბირსკის თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

ხატია ბუნიათიშვილის ალბომი ლიდერია

ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი ბოლო ალბომი სახელწოდებით „ლაბირინთი“ მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნად პლატფორმებზე აითუნსსა და ამაზონზე ყველა ჟანრში აბსოლუტური ლიდერია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხატიას ალბომი პირველობას არავის უთმობს. მის მიერ ჩაწერილი წინა ალბომებიც მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ხატია წერეთელი: „ცოცხალი რომ ვარ, იმასაც არ მპატიობენ“



მომღერალი ხატია წერეთელი გულნატკენია, რომ ყველგან ფეხს უდებენ და ცდილობენ გასრისონ:

– როცა დაიწყებთ იმაზე წუწუნს, რა უსამართლოა ცხოვრება თქვენ მიმართ, უბრალოდ გეტყვით, მე ცოცხალი რომ ვარ, იმასაც არ მპატიობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ცუდი არ გამიკეთებია არავისთვის, ყველგან ფეხს მიდებენ და ცდილობენ გამსრისონ. ადამიანები, ვინც წლობით მითრევია თავიანთი პრობლემებით, მარტო იმიტომ გაბოროტდნენ, რატომ არ გავსუქდი და არ დავმახინჯდი. კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ არ დაგგრუზავთ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვდგავარ ფეხზე, მივიწევ წინ და ვიბრძვი დაუსრულებლად.

ასე რომ, არაა წუწუნის დრო – ადექი, დადექი და იბრძოლე!

რეზო გაბრიაძის ფილმი ნეთფლიქსზე განთავსდა

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სერვერზე – ნეთფლიქსზე ქართველი რეჟისორის, მხატვრისა და მწერლის რეზო გაბრიაძის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი „ჰარი ჰარალე დედაო“ განთავსდა.

ფილმს სერვერზე „რეზო“ ჰქვია და მისი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ეს არის რეზო გაბრიაძის ბიოგრაფიული ფილმი, რომელიც მისივე მოთხრობების მიხედვით არის გადაღებული და მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 იანვრისათვის

ვერძი – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– აბა, გიგი, მიპასუხე, რომელი დროა: „მე ვეძებ საქმროს“?

– წარსული, მასწავლებელო, წარსული.

●●●

პოლიციის აკადემიაში გამომცდელი კურსანტს ეკითხება:

– ეს არის ცერა თითი, ეს საჩვენებელი, ეს შუა თითი, ეს უსახელო, ეს კი ნეკა თითი. აბა, ავურიეთ, ავურიეთ და ახლა მიპასუხე, სად რომელია?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, უკანალი მტკივა.

– რა ადგილას?

– პირდაპირ შემავალში.

– ჰოო, სანამ მაგ ადგილს შემავალს ეძახი, ის ყოველთვის გეტკინება.

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი შუა ხნის მამაკაცს მიმართავს:

– საქმე ის არ არის, რომ მდიდარი ოჯახი გაქვთ, მე ნამდვილად მიყვარს თქვენი ქალიშვილი და მასზე დაქორწინება მინდა.

– კი მაგრამ, სამიდან რომელზე?

– ნებისმიერზე...

●●●

კაცი ტაქსს აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– კრწანისზე რამდენად გამიყვან?

– ქუჩაზე?

– არა, ველზე, ომში მაგვიანდება...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბენზემა შესაძლოა საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნდეს

საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მან შესაძლოა კარიმ ბენზემა ნაკრებში დაბრუნოს, თუმცა თვითონ კარიმი ნაკრებში თამაშს არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, მან ასე თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბენზემა ნაკრებიდან 2015 წელს მოკვეთეს, როდესაც მას ვალბუენას შანტაჟში დასდეს ბრალი. სასამართლომ კარიმი გაამართლა, მაგრამ საფრანგეთში მას ეს არ აპატიეს და ეროვნულ გუნდში მას აღარ უთამაშია.

ბრეიტვეიტი ბარსელონადან წასვლას არ აპირებს

ბარსელონას დანიელი ფორვარდი მარტინ ბრეიტვეიტი გუნდიდან წასვლას არ აპირებს და მას მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლოს.

ბრეიტვეიტის თქმით, მას კონკურენციის არ ეშინია:

– ვიცი, რომ ბარსელონამ შესაძლოა ახალი ფორვარდის შეძენა გადაწყვიტოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე სადმე წავალ და გუნდს დავტოვებ. კონკურენცია არ მაშინებს და მზად ვარ, რომ ახალ გამოწვევებს გავუმკლავდე.

მბაპე რეალს უფრო მიუახლოვდა

საფრანგეთის მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც კილიან მბაპემ პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა და მას კარიერის გაგრძელება სხვა გუნდში სურს.

ეს გუნდი მადრიდის რეალია, რომელსაც მბაპეს სახელს დიდი ხანია, უკავშირებენ. რეალის მთავარ მწვრთნელს ზინედინ ზიდანს დიდი სურვილი აქვს, რომ მბაპე თავის გუნდში იხილოს და ის ამისთვის ძალებს არ დაიშურებს.

ლევანდოვსკი: „კლოპი ძალიან ჭკვიანია“

ლევანდოვსკიმ იურგენ კლოპთან მუშაობის პერიოდი გაიხსენა და თქვა, რომ ის ძალიან ჭკვიანია და მისი მოტყუება თითქმის შეუძლებელია:

– ერთხელ, მახსოვს, წვეულებაზე ზედმეტად ბევრი დავლიეთ და მეორე დღეს ვარჯიშის წინ ნიორი შევჭამეთ, რომ ალკოჰოლის სუნი არ ყოფილიყო. კლოპი მაშინვე მიხვდა ყველაფერს და გვითხრა, რომ ამდენი ნიორი არ უნდა გვეჭამა. მაშინ მივხვდით, რომ მის მოტყუებას აზრი არ ჰქონდა და აღარც გვიცდია“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიკა ქავთარაძე მთავარ პრობლემებზე მობილიზებას გვირჩევს

იუმორისტი ნიკა ქავთარაძე მთავარ პრობლემებზე მობილიზებას გვირჩევს:

– ამ მთავრობამ შეძლო, რომ ყველა ჯგუფს თავისი პრობლემა შექმნოდა. შესაბამისად, ყველა თავისი სიმართლისთვის იბრძვის.

ამასობაში კი გვერდით რჩება საერთო და უმთავრესი პრობლემები. ასე ვკარგავთ ქვეყანას და ქვეყნის გადარჩენის შანსს. როგორმე უნდა მოვახერხოთ ამ მთავარ პრობლემებზე მობილიზება, თორემ ძაااან შარში ვართ, ძაااან.

გიორგი კეკელიძე: „მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს“

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე მომხრეა მოვუფრთხილდეთ და სულ კარგი ვუთხრათ ერთმანეთს:

– როცა მამაჩემი გარდაიცვალა და ორ დღეში ბებიაჩემიც, მეც ის ვიფიქრე, რასაც სხვები ფიქრობენ ამ დროს: როცა ცხოვრება ასე მოკლეა და სიკვდილი ასე მოულოდნელი, ხომ შეიძლება სულ კარგი ვუთხრათ ერთმანეთს, ხშირად მოვიკითხოთ და ნაკლებად ვლანძღოთ. ანუ სულ არ ვლანძღოთ. თუ რამ არის გულუბრყვილო, სწორედაც რომ ეს ფიქრია.

ყოველდღიურობა შეუმჩნეველი წვრილმანებით გითრევს და გაბრუნებს. დაკრძალავ და იმ საღამოსვე შენივე პირიდან მოგესმის, რომ ქელეხის ღვინო არ იყო მთლად ისეთი და თევზი აკლდა და რომ, წარმოდგენა არ გაქვს, რამინი სამივე შვილით, ცოლით და ცოლისდით რატომ მოვიდა, როცა მარტო თვითონ დაპატიჟე. მერე რამე სევდიან სტატუსს დაწერ და ხვალ მეგობარი გეტყვის, რომ მეორე მომეგობრო ტიპმა თქვა, რა გაახურა ამ კეკელიძემ საქმე ამ თავისი სევდებითო და შენ გაბრაზდები ამ მომეგობროზე, რომელიც ზეგ შეგხვდება და გაგიღიმებს და გეტყვის, რომ სამსახურს ეძებს. აი, ხომ ხედავთ, ახლაც ვუკბინე ცოტა შორიდან იმ მომეგობროს. ასე ვცხოვრობთ სიკვდილიდან სიკვდილამდე, ანუ „მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს“-დან მორიგ „მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს“-მდე. ვჭამთ და ვღრღნით ერთმანეთს, დავცინით, ვუსაფრდებით, ვებრძვით. ასე იყო, არის და იქნება. ვერაფერს შევცვლით, ვერ ამოვხტებით ამ დაწყევლილი ადამიანობიდან. სიკვდილის გვეშინია, მაგრამ არასდროს ვითვალისწინებთ – შეიძლება ეს არის ამქვეყნად ყოფნის ნაკლიც და უპირატესობაც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. მთავარი მოედანი ძველ რომში; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. მილების სისტემის მქონე დიდი კლავიშებიანი ინსტრუმენტი; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისთვის შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. აზრის არაპირდაპირი, იგავურად გამოხატვა ქართულ ლიტერატურაში; 7. გუმბათიანი, სვეტებიანი მრგვალი ნაგებობა; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. პენიტენციალური დაწესებულება; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. სპორტული თამაში ყინულზე; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 18. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 19. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა; 20. ციმბირში მზარდი წიწვოვანი ხე, რომელიც წყალში არ ლპება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა